



Grant Thornton

An instinct for growth™

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.

დახურული სააქციო საზოგადოება
საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

2011 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება (გაგრძელება)	4
მოგება ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება (გაგრძელება)	7
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება (გაგრძელება)	9
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები	10



Grant Thornton

An instinct for growth™

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

Գրասր Թորնტონ ՓԲԸ

ՀՀ, ք. Երևան 0012
Վաղարշյան 8/1

Հ. +374 10 260 964

Ֆ. +374 10 260 961

Grant Thornton CJSC

8/1 Vagharshyan Str.
0012 Yerevan, Armenia

T +374 10 260 964

F +374 10 260 961

www.grantthornton.am

დახურული სააქციო საზოგადოება საქართველოს სახელმწიფო
ელექტროსისტემის მესაკუთრეებს:

ჩვენ ჩავატარეთ 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით მომზადებული დსს
“საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის” (“პარტნიორი კომპანია” მისი
შვილობილი კომპანიების „შემდგომში – “ჯგუფი”) თანდართული ფინანსური
ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის
კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ
ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის
კონსოლიდირებულ ანგარიშგებებებს ამავე თარიღით დასრულებული
წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და
სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების
მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (IFRS), ასეთი პასუხისმგებლობა
მოიცავს უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობების გარეშე
შედგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნით,
შიდა კონტროლის სისტემების შემუშავებას, დანერგვასა და განხორციელებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე
გაკეთებული დასკვნა აღნიშნულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.
აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად
(IFRS). ამ სტანდარტებით მოითხოვება, რომ დავიცვათ შესაბამისი ეთიკური
მოთხოვნები და აუდიტი დავგეგმეთ და ჩავატაროთ დასაბუთებული რწმუნების
მოპოვების მიზნით იმის თაობაზე, რომ კონსოლიდირებულ ფინანსური
ანგარიშგებში არ არის რაიმე სახის არსებითი უზუსტობა.

აუდიტი გულისხმობს ისეთი პროცედურების ჩატარებას, რომლებიც გამიზნულია მტკიცებულების მოპოვებაზე კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაში მოყვანილი თანხების და განმარტებების თაობაზე. შერჩეული მეთოდოლოგია დამოკიდებულია აუდიტორთა მოსაზრებებზე, მათ შორის, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკის შეფასების თაობაზე, მიუხედავად იმისა, იქნება მსგავსი უზუსტობა დაშვებული უნებლიედ თუ განზრახ. იმისათვის, რომ შეიმუშავოს ვითარებისა და გარემოების შესატყვისი პროცედურები, რისკების შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის არსებული სისტემებს, რომლებიც ქმნის შესაბამის პირობებს ორგანიზაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისთვის, აღნიშნულის მიზანს არ წარმოადგენს მოსაზრების გამოხატვა შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობაზე. აუდიტი ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის და სააღრიცხვო შეფასებების სისწორისა და მთლიანად, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

დარწმუნებული ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულება საკმარის და სათანადო საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნისათვის.

დასკვნა

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს დსს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ფინანსურ მდგომარეობას 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების ჩათვლით ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (IFRS).

25 ივნისი 2012

გაგიკ გიულბუღალიანი

ლილით არაბაჯიანი, FCCA

მმართველი პარტნიორი

ჩართული პარტნიორი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი		2011 წლის 31 დეკემბერი	2010 წლის 31 დეკემბერი (შესწორებული)	2009 წლის 31 დეკემბერი (შესწორებული)
	შენიშვნები			
აქტივები				
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>				
ძირითადი საშუალებები	4	584,163	359,337	352,518
არამატერიალური აქტივები	5	3,474	4,474	279
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	6	2,835	3,908	-
მომწოდებლებზე გაცემული ავანსები		115,829	143,909	-
		<u>706,301</u>	<u>511,628</u>	<u>352,797</u>
<i>მიმდინარე აქტივები</i>				
ინვენტარი		7,853	8,354	4,113
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	44,292	10,932	14,687
მიმდინარე საშემოსავლო გადასახადის აქტივი		-	-	1,169
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	89,764	39,833	16,163
		<u>141,909</u>	<u>59,119</u>	<u>36,132</u>
სულ აქტივები		<u><u>848,210</u></u>	<u><u>570,747</u></u>	<u><u>388,929</u></u>

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება (გაგრძელება)

ათასი ლარი		2011 წლის 31 დეკემბერი	2010 წლის 31 დეკემბერი (შესწორებული)	2009 წლის 31 დეკემბერი (შესწორებული)
	შენიშვნები			
კაპიტალი და ვალდებულებები				
<i>კაპიტალი და რეზერვები</i>	9			
სააქციო კაპიტალი		509,772	447,522	427,079
დაურეგისტრირებელი კაპიტალი		27,311	9,829	9,829
გადაფასების რეზერვი		76,680	100,437	111,721
ვალუტის გადაცვლის რეზერვი		(126)	22	(3)
აკუმულირებული ზარალი		<u>(320,557)</u>	<u>(348,578)</u>	<u>(363,655)</u>
აქციონერთა მთლიანი კაპიტალი		<u>293,080</u>	<u>209,232</u>	<u>184,971</u>
უმცირესობის წილი		-	4	10
სულ კაპიტალი		<u>293,080</u>	<u>209,236</u>	<u>184,981</u>
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>				
სესხი	10	321,466	245,443	109,699
რესტრუქტურული ვალდებულებები	11	59,207	55,724	54,251
გრანტი და მასთან დაკავშირებული ვალდებულებები	12	28,787	23,910	5,286
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები	6	-	-	1,923
გადავადებული დღგ-ს გადასახადი	13	<u>1,372</u>	<u>1,372</u>	<u>8,023</u>
		<u>410,832</u>	<u>326,449</u>	<u>179,182</u>
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>				
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	10	9,536	9,551	7,328
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	128,286	22,998	17,438
მიმდინარე საშემოსავლო გადასახადი		<u>6,476</u>	<u>2,513</u>	<u>-</u>
		<u>144,298</u>	<u>35,062</u>	<u>24,766</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>848,210</u>	<u>570,747</u>	<u>388,929</u>

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია 25 ივნისს 2012 წელს:

სულხან ზუმბურიძე
რეაბილიტაციის მენეჯერი

ნათელა კობახიძე
მთავარი ბუღალტერი

თანდართული შენიშვნები 10-47 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2011 წლის 31 დეკემბერი	2010 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი	15	54,952	50,085
სხვა საოპერაციო შემოსავალი		4,369	12,012
		<u>59,321</u>	<u>62,097</u>
ქსელის საოპერაციო ხარჯები		(3,463)	(4,485)
ადმინისტრაციული ხარჯები		(2,649)	(3,271)
ხელფასები და სხვა თანამშრომელთა სარგებელი		(15,155)	(14,552)
ცვლილება, ამორტიზაცია და გაუფასურება		(31,321)	(30,591)
სხვა წმინდა საოპერაციო ხარჯები		(6,639)	(5,522)
შედგეო საოპერაციო საქმიანობიდან		<u>94</u>	<u>3,676</u>
ფინანსური შემოსავალი	16	4,762	2,923
ფინანსური ხარჯი	16	(11,314)	(9,813)
სხვა წმინდა ფინანსური ერთეულები	17	31,063	3,740
მოგება/(ზარალი), მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		<u>24,605</u>	<u>526</u>
გადავადებული საშემოსავლო გადასახადის მიმდინარე ნაწილი	18	(5,182)	3,261
წლის წმინდა მოგება		<u>19,423</u>	<u>3,787</u>
სხვა კონსოლიდირებული შემოსავალი			
უცხოური ვალუტის ტრანზაქციის სხვაობა		(148)	25
მთლიანი მოგება საანგარიშგებო წლისთვის		<u>19,275</u>	<u>3,812</u>
განეკუთვნება კომპანიის აქციონერებს		19,275	3,818
განეკუთვნება უმცირესობის წილს		-	(6)

თანდართული შენიშვნები 10-47 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	სააქციო კაპიტალი	დაურეგისტრირებული კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	საკურსო სხვაობის რეზერვი	აკუმულირებული ზარალი	სულ მფლობელებზე	უმცირესობის წილი	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2010	427,079	9,829	100,261	(3)	(352,449)	184,717	10	184,727
წინა პერიოდის შეცდომების შესწორება	-	-	11,460	-	(11,206)	254	-	254
განახლებული ბალანსი	427,079	9,829	111,721	(3)	(363,655)	184,971	10	184,981
წლის მოგება	-	-	-	-	3,793	3,793	(6)	3,787
სხვა გაუნაწილებელი მოგება	-	-	-	25	-	25	-	25
წლის მთლიანი გაუნაწილებელი მოგება	-	-	-	25	3,793	3,818	(6)	3,812
სააქციო კაპიტალის გამოშვება ფლობელებთან	20,443	-	-	-	-	20,443	-	20,443
დაკავშირებული ტრანზაქციები	20,443	-	-	-	-	20,443	-	20,443
აქტივის რეალიზაციის გადაფასების რეზერვის გადასახადის გარეშე	-	-	(11,284)	-	11,284	-	-	-
31 დეკემბერი, 2010 (განახლება)	447,522	9,829	100,437	22	(348,578)	209,232	4	209,236

კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება (გაგრძელება)

ათასი ლარი	სააქციო კაპიტალის გამოშვება	დაურეგისტრირებული სააქციო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	საკურსო სხვაობის რეზერვი	აკუმულირებული ზარალი	სულ მფლობელებზე	უმცირესობის წილი	სულ კაპიტალი
წლის მოგება	-	-	-	-	19,423	19,423	-	19,423
სხვა გაუნაწილებელი მოგება	-	-	-	(148)	-	(148)	-	(148)
აქტივის რეალიზაციის შედეგად გადაფასების რეზერვის შემცირება	-	-	(8,598)	-	8,598	-	-	-
კაპიტალიდან ფიქსირებული აქტივების ამოღების ეფექტი	-	-	(15,113)	-	-	(15,113)	-	(15,113)
წლის მთლიანი გაუნაწილებელი მოგება	-	-	(23,711)	(148)	28,021	4,162	-	4,162
სააქციო კაპიტალის გამოშვება	83,709	-	-	-	-	83,709	-	83,709
სააქციო კაპიტალის შემცირება	(3,977)	-	(46)	-	-	(4,023)	-	(4,023)
არარეგისტრირებული კაპიტალი	(27,306)	27,306	-	-	-	-	-	-
კაპიტალის რეგისტრაცია	9,824	(9,824)	-	-	-	-	-	-
უმცირესობის წილი	-	-	-	-	-	-	(4)	(4)
მფლობელებთან დაკავშირებული ტრანზაქციები	62,250	17,482	(46)	-	-	79,686	(4)	79,682
აქტივის რეალიზაციის შედეგად გადაფასების რეზერვის შემცირება, გადასახადის გარეშე	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2011	509,772	27,311	76,680	(126)	(320,557)	293,080	-	293,080

თანდართული შენიშვნები 10-47 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	2011 წლის 31 დეკემბერი	2010 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება	19,423	3,787
<i>შესწორებები:</i>		
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება	31,321	30,591
ფინანსური ხარჯი	11,314	9,813
ფინანსური შემოსავალი	(4,762)	(2,923)
გადავადებული მოგების გადასახადის მიმდინარე ნაწილი	5,182	(3,261)
ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	3,910	11,229
შემოსავალი გრანტების ამორტიზაციიდან	(528)	(528)
გადავადებული დღგ-ს მონაწილეობა მოგებასა და ზარალში	-	(6,651)
საკურსო მოგება/(ზარალი)	(31,063)	(3,740)
<i>საოპერაციო მოგება სამუშაო კაპიტალში ცვლილებამდე</i>	<u>34,797</u>	<u>38,432</u>
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(33,407)	3,420
ცვლილება ინვენტარში	501	(4,241)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(9,228)	5,899
<i>ფული საოპერაციო საქმიანობიდან</i>	<u>(7,337)</u>	<u>43,510</u>
გადახდილი პროცენტი	(5,356)	(5,597)
გადახდილი საშემოსავლო გადასახადი	(146)	-
<i>წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან</i>	<u>(12,839)</u>	<u>37,913</u>
ფული საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ყიდვა	(90,575)	(32,151)
მომწოდებლებზე გაცემული ავანსები	-	(143,909)
მიღებული პროცენტები	6,049	2,923
<i>წმინდა ფული გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში</i>	<u>(84,526)</u>	<u>(173,137)</u>

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება (გაგრძელება)

ათასი ლარი	2011 წლის 31 დეკემბერი	2010 წლის 31 დეკემბერი
ფული ფინანსირებიდან		
ფული სააქციო კაპიტალის გამოსვებიდან	60,000	20,000
გადავადებული ვალდებულებების გადახდა	(2,188)	(3,701)
მიღებული სესხები, წმინდა	<u>91,055</u>	<u>142,767</u>
<i>წმინდა ფული ფინანსირებიდან</i>	<u>148,867</u>	<u>159,066</u>
წმინდა ფულის ზრდა საბანკო ანგარიშზე	51,502	23,842
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულზე	(1,423)	(197)
ეფექტი ფინანსური ანგარიშგების სავალუტო ცვლილებაზე	(148)	25
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	<u>39,833</u>	<u>16,163</u>
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	<u>89,764</u>	<u>39,833</u>

თანდართული შენიშვნები 10-47 გვერდებზე წამოაღგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

დსს საქართველოს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სს ელექტრო გადაცემისა და შპს ელექტროდისპენჩერიზაცია-2000-ის გაერთიანების შედეგად და წარმოადგენს მათ სამართალმემკვიდრეს. კომპანია დარეგისტრირდა ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით 2002 წლის 12 ნოემბერს. კომპანიის ერთადერთი მესაკუთრე არის საქართველოს სახელმწიფო.

2010 წლის 22 ნოემბრის შეთანხმების მიხედვით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ დსს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის საკუთრების უფლებები გადაანაწილა საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროზე და ბუნებრივი რესურსების სამინისტროზე.

2002 წლის 18 ივნისს ენერჯო ბაზრის მხარდაჭერის პროექტის ქვეშ (“EMSP”), დაფინანსებული საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (IDA) და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) მიერ, წარმოდგენილი საქართველოს სახელმწიფო ენერჯეტიკის სამინისტროს მიერ, სს “ელექტროგადაცემა” და შპს “ელექტროდისპენჩერიზაცია 2000” და შპს “ESBI საქართველო”-მ შეადგინეს შესრულების საფუძველზე დაფუძნებული კონტრაქტი მშობელი კომპანიისთვის. ამ კონტრაქტის საფუძველზე 2003 წლის 3 მარტს შპს “ESBI საქართველო”-ს გადაეცა მშობელი კომპანიის მართვის უფლება. პროექტის დასრულების შემდეგ 2007 წელს საქართველოს სახელმწიფომ გადაიბარა კომპანიის მართვა

მშობელი კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიების მთავარი საქმიანობა არის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ელექტრო ენერჯის გადაცემა და დისპენჩერიზაცია, რომელიც რეგულირდება კანონით ელექტრო ენერჯისა და ბუნებრივი გაზის შესახებ. ჯგუფი ახორციელებს თავის საქმიანობას ელექტრო გადაცემის ლიცენზიით No 12-004 და დისპენჩერიზაციის ლიცენზიით No 13-004, რომელიც მოპოვებული აქვს საქართველოს ნაციონალური ენერჯო მარეგულირებელი კომისიისაგან 2002 წლის 20 დეკემბერს.

საქართველოს ენერჯო სისტემის ელექტრო გადამცემი ხაზების საეთო სიგრძე შეადგენს 11,296.7 კმ-ს. “საქართველოს ელექტრო სისტემის” ბალანსზე ირიცხება 35-110-220 კილოვოლტის ხაზები ჯამური სიგრძით 3,009.8 კმ, მათ შორის:

220 კვ ხაზების სიგრძე	-	1,609.0 კმ.
110 კვ ხაზების სიგრძე	-	863.4 კმ.
35 კვ ხაზების სიგრძე	-	537.0 კმ.

ქვესადგურების სრული რაოდენობა შეადგენს 89 ერთეულს, დადგმული სიმძლავრით 8,030.5 მეგავატი, მათ შორის:

500 კვ ქვესადგური -3 (დადგმული სიმძლავრით - 3,014.6 მეგავატი –ფაქტობრივი)
 220 კვ ქვესადგური -17 (დადგმული სიმძლავრით -4,355.1 მეგავატი–ფაქტობრივი)
 110 კვ ქვესადგური -24 (დადგმული სიმძლავრით - 467.2 მეგავატი–ფაქტობრივი)
 35 კვ ქვესადგური -45 (დადგმული სიმძლავრით -193.6 მეგავატი–ფაქტობრივი)

უწყვეტი საოპერაციო ზარალების და მუდმივი, მძაფრი ლიკვიდური პრობლემების გამო 2004 წლის 6 ივლისს მენეჯმენტმა გამოაცხადა გადახდის უუნარობა და მიმართა რეაბილიტაციას შესაბამისად “საქართველოს კანონი გაკოტრების წარმოების შესახებ” სასამართლო გადაწყვეტილებით 2004 წლის 9 ივლისს დსს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს მიენიჭა 18 თვიანი გაკოტრების გადავადება (რეაბილიტაცია). 2006 წლის 9 იანვარს დსს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-მ სასამართლოს წარუდგინა ფინანსური რეაბილიტაციის გეგმა, რომელსაც ეთანხმებოდა კრედიტორების 50%-ზე მეტი. სასამართლომ გეგმა დაამოწმა 2006 წლის 30 იანვარს, შეაჩერა გაკოტრების საქმე და უფლება მიანიჭა 15 წლიანი რეაბილიტაციის პერიოდი.

დსს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს მიერ წარმოდგენილი განახლებული რეაბილიტაციის გეგმა დამოწმებული იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2008 წლის 11 ნოემბერს.

განახლებული რეაბილიტაციის გეგმა წარმოადგენს ჯგუფის სტრატეგიულ მიზნებს შემდგომი 15 წლის განმავლობაში, აგრეთვე განსაზღვრავს ძირითად საოპერაციო და ფინანსურ მიზნებს. რეაბილიტაციის გეგმის მიხედვით, რეაბილიტაციის მენეჯერი დანიშნულ იქნა, რათა მართოს ჯგუფის საქმიანობა რეაბილიტაციის პერიოდის განმავლობაში. ჯგუფის ყველა უფლება და ვალდებულება, გარდა მშობელი კომპანიის ლიკვიდაციისა მიენიჭა რეაბილიტაციის მენეჯერს.

შპს ენერგოტრანსი (კომპანია) საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით დაარსდა 2002 წლის 12 სექტემბერს ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ. 2009 წელს დსს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (სსე) გახდა შპს ენერგოტრანსის მესაკუთრე.

შპს ენერგოტრანსის შემადგენლობაში შედის 500 კილო ვოლტიანი ენერგო გადამცემი ხაზი- “თბილისი-სამხრეთ საქართველო-ხესტაფონი”, რომელიც შეიცავს 859 შენობას და კვეთს საქართველოს 9 რეგიონს. აღნიშნული ხაზის მშენებლობა შეჩერდა 1991-1992 წლებში.

2010 წელს კომპანია სესხის სახით მიიღო დაფინანსება ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის მხრიდან (EBRD), ევროპის საინვესტიციო ბანკისგან (EIB), KfW ("ბანკები"), ფონდებს EC Neighbourhood Investment Facility-დან (EC NIF); შავი ზღვის ენერჯის გადაცემის ქსელის პროექტის ფარგლებში დაფინანსებას იღებს საქართველოს სახელმწიფოსგან; პროექტი დაწყებულია ასინქრონული გადაცემისთვის საქართველოს 500 კილოვოლტიანი და თურქეთის 400 კილოვოლტიანი ასინქრონული გადაცემისთვის. პროექტის ფარგლებში განზრახულია 500 კილოვოლტიანი გადამცემი ქსელის მშენებლობა

გარდაბანი-ახალციხე და ზესტაფონი-ახალციხის ფარგლებში; მოპარული სექციის რეაბილიტაცია და ახალი 400 კვ-იანი გადამცემი ხაზის მშენებლობა ახალციხე-თურქეთის საზღვართან. აგრეთვე იგეგმება 500-400 კვ-იანი ქვესადგურის მშენებლობა. შავი ზღვის მაღალ ვოლტიანი გადამცემი ხაზის (500/400 კვ) მშენებლობა სრულდება დსს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ (სსე), თუმცა, გადამცემი ხაზის მშენებლობას ახორციელებს კომპანია.

კომპანიის იურიდიული მისამართი არის, ბარათაშვილის ქუჩა №2, თბილისი 0105, საქართველო.

შვილობილი კომპანიის იურიდიული მისამართი არის, ქინძმარაული ქუჩა №16, თბილისი 0105, საქართველო.

კომპანიის თანამშრომლების საშუალო რაოდენობა 2011 წლისთვის შეადგენდა 1,111 (2010: 1,135).

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”) შესაბამისად.

2.2 გაანგარიშების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც წარმოდგენილია მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით, აგრეთვე მიწისა და შენობა ნაგებობების გარდა, რომლებიც წარმოდგენილია გადაფასებული თანხით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს ჯგუფის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში (გარდა განსაზღვრული ნახსენები შემთხვევებისა), რადგანაც მენეჯმენტს სჯერა, რომ ეს არის უფრო გამოსადეგი ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებელთათვის. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფრომაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე კონსოლიდირებული ანგარიშგების “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების” შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომელიც გავლენას ახდენს წარმოდგენილი აქტივებისა და პასივების ანგარიშგებაზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე

შემოსავლებზე და ხარჯებზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. მნიშვნელოვანი ნაწილები, რომლებიც მოიცავს მაღალი დონის შეფასებასა და მოსაზრებას, ასევე ანგარიშგების მნიშვნელოვან ნაწილს, სადაც მოსაზრებები და შეფასებები დიდ გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე, წარმოდგენილია მე-19 შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების ათვისება

ჯგუფმა მიმდინარე წელს მიიღო და აითვისა ყველა ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია შემუშავებული საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოსა ("IASB") და საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების კომიტეტის მიერ ("IFRIC"), რომელიც შესაბამისობაშია მის ოპერაციებთან დაწყებული 2011 წლის 1 იანვრიდან

სტანდარტები, რომლებიც გავლენას ახდენენ

ფასს 24 – დაკავშირებულ მხარეთა ტრანზაქციები (შესწორებული 2009 წელს)

ფასს 24 – ის მიხედვით დაკავშირებულ მხარეთა ტრანზაქციები (შესწორებული 2009 წელს) ქვემოთ მოცემული ცვლილებები და მოდიფიკაციები დამატებულ იქნა დაკავშირებულ მხარეთა ტრანზაქციების განმარტებაში, რომელიც ეხება სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ორგანიზაციებს.

ფასს 24 დაკავშირებულ მხარეთა ტრანზაქციები . ორგანიზაცია, რომელიც არის კონტროლირებადი სახელმწიფოს მიერ თავისუფლდება 24-ე სტანდარტის მოთხოვნისგან, რომელიც ეხება დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ტრანზაქციებს და ბალანსებს.

თუ ჯგუფი მაინც მიყვება ამ სტანდარტის მოთხოვნებს მასინ მან უნდა მოახდინოს ქვემოთ ჩამოთვლილების წარდგენა:

- (ა) სახელმწიფოს სახელი და მასთან ურთიერთობის შინაარსი (კონტროლის ფორმა და სახელმწიფოს გავლენა)
- (ბ) მოცემული ინფორმაცია არის მნიშვნელოვანი ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების წარდგენისას, ვინაიდან საჭიროა მისმა მომხმარებელმა გაიგოს გავლენა დაკავშირებულ მხარეების კომპანიაზე.
- (გ) თითოეული ტრანზაქციის ინდივიდუალურად მნიშვნელოვნობა და შინაარსის გაშიფრვა.

სხვა ტრანზაქციებისთვის არის ჯგუფური მიდგომა, მაგრამ არა ინდივიდუალურად მნიშვნელოვან ტრანზაქციებზე, რომელიც შესაძლოა როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივადაც მნიშვნელოვანი იყოს.

გამოცემული სტანდარტები და ინტერპრეტაციები რომლებიც ჯერ არ არის ათვისებული

ფასს 9 “ფინანსური ინსტრუმენტები”

2009 წლის ნოემბერში ბასსს-მ პირველად გამოსცა ფასს 9 – ფინანსური ინსტრუმენტები, ხოლო 2010 წლის ოქტომბერში მისი დამატება, სადაც წამოდგენილია ახალი მოთხოვნები, განმარტებები და კლასიფიკაცია ფინანსური ინსტრუმენტების აღიარებისა და უარყოფისათვის. ფასს 9 მოითხოვს ყველა ფინანსური აქტივის, რომელიც აღიარებულია და შესაბამისობაშია ბასს 39-თან – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება, რომ შემდგომში იყოს შეფასებული ამორტიზირებული ან წმინდა ღირებულებით. განსაკუთრებით, სასესხო ინვესტიციები განხორციელებული ბიზნეს მოდელის ქვეშ, რომლის მიზნებია თავი მოუყაროს სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს. სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც შედგება მხოლოდ და მხოლოდ ძირისა და პროცენტისაგან, სადაც ძირიც და პროცენტიც ფასდება მათი ამორტიზირებული ღირებულებით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ყველა სხვა სასესხო და კაპიტალური ინვესტიცია ფასდება მისი წმინდა ღირებულებით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ყველაზე მნიშვნელოვანი ფასს 9-ში, თუ არ ჩავთვლით კლასიფიკაციას და შეფასებას, დაკავშირებულია საკრედიტო რისკის მქონე ფინანსური ვალდებულების წმინდა ღირებულების აღრიცხვასთან (წარმოდგენილი მოგებით ან ზარალით). განსაკუთრებით, ფასს 9-ის მიხედვით, ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც არის განსაზღვრული წმინდა ღირებულებით მოგებაში/ზარალში, ვალდებულების წმინდა ღირებულების ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია ამ ვალდებულების საკრედიტო რისკთან აღიარებულია სხვა განსაკუთრებულ შემოსავლად, იმ შემთხვევაში თუ ეს ცვლილება არ შექმნის ან გაზრდის ბუღალტრულ ცდომილება მოგებაში ან ზარალში. ცვლილებები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულების წმინდა ღირებულების საკრედიტო რისკთან, შემდგომში არ მოხდება მათი რეკლასიფიკაცია მოგებაში ან ზარალში. აქამდე, ფასს 39 მიხედვით, ფინანსური ვალდებულების წმინდა ღირებულების ცვლილება განსაზღვრული, როგორც მოგება ან ზარალი, იყო აღიარებული მოგებაში ან ზარალში.

ფასს 9 ძალაში შედის 2013 1 იანვარს და მის შემდგომ დაწყებული ფინანსური წლებისთვის. ჯგუფის დირექტორები ფიქრობენ რომ ფასს 9 ათვისებული იქნება 2013 წლის 1 იანვრიდან და ახალი სტანდარტის გამოყენებას არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა ჯგუფის მიერ წმოდგენილ ფინანსურ აქტივებზე და ვალდებულებებზე.

ფასს 13 სამართლიანი ღირებულებით გაზომვა

ფასს 13 გაველენას არ ახდენს ისეთ აქტივებზე, რომელიც აღრიცხული უნდა იყოს სამართლიანი ღირებულებით, მაგრამ განმარტავს სამართლიანი ღირებულებას და წარადგენს სამართლიანი არრიცხვიანობის ინსტრუმენტებს. ფასს 13 ძალაში შედის 2013 წლის 1 იანვრიდან. ჯგუფის ხელმძღვანელობა ამ სტანდარტის შეფასებისა და ადაპტაციის პროცესშია.

დარაოთი ბასს 1 – ფინანსური ანგარიშგების წარდგენა

ბასს 1-ის მოთხოვნების თანახმად ჯგუფმა თავის ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა მოახდინოს სხვა კონსოლიდირებული მოგების წარდგენა, რომელიც მოითხოვება ფასს-ის მიერ და მოიცავს შემდეგს:

- (ა) არ უნდა იყოს კლასიფიცირებული მოგებასა და ზარალზე
- (ბ) რეკლასიფიცირებული შეიძლება იყოს მოგება ან ზარალზე, თუ ამისათვის არსებობს სპეციალური პირობა

ეს დანართი ძალაში შედის 2012 წლის 1 ივლისიდან.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ამ ცვლილებას წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებებში; ეს გაველენას არ ახდენს ქტივებისა შეფასებასა და აღირებაზე.

2.6 შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს შემდეგ ფილიალებს:

ფილიალი	მესაკუთრე %	ქვეყანა	დაარსების თარიღი	ინდუსტრია	შემოერთების თარიღი
					10 თებერვალი, 2009
შპს ენერგოტრანსი. კარხალ ენერჯი	100	საქართველო	12 დეკემბერი, 2002	ენერგეტიკა	
ელექტრო ენერჯის ბითუმად მოვაჭრე	100	თურქეთი	4 აგვისტო, 2009	ენერგეტიკა	4 აგვისტო, 2009

2.7 წინა პერიოდის შეცდომების კორექტირება

ფინანსური ანგარიშგებები მათ შორის შედარებითი ინფორმაცია წინა პერიოდთან, წარმოდგენილია შესწორებებით იმ პერიოდზე, რომელშიც დაშვებულ იქნა შეცდომა. შესაბამისად, შესწორების მოცულობა, რომელიც დაკავშირებულია წარმოდგენილ თითოეულ პერიოდთან ასახული პერიოდის წმინდა მოგებაში. შესწორების მოცულობა რომელიც დაკავშირებულია წინა პერიოდებთან მათ შორის შედარებითი ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებაში შესწორებულია წინა პერიოდის აკუმულირებული მოგების საწყის ბალანსზე. სხვა ინფორმაცია დაკავშირებული წინა პერიოდებთან, როგორც არის ფინანსური ინფორმაციის ისტორიული შინაარსი აგრეთვე იქნება შესწორებული.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პროცედურები

3.1 კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები არის ის ორგანიზაციები, რომლებიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად დაარეგულიროს ორგანიზაციის ფინანსური და სამუშაო პოლიტიკა ისე რომ, მიიღოს სარგებელი მისი სამუშაო საქმიანობიდან. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების დღიდან კონტროლის შეწყვეტის დღემდე.

ჯგუფის მიერ შვილობილი კომპანიის შესყიდვისას გამოიყენება შესყიდვის მეთოდი. შესყიდული ამოცნობადი აქტივები და ვალდებულებები თუ პირობითი ვალდებულებები, დაშვებული ბიზნესის გაერთიანებისას, აღირიცხება შესყიდვის დღეს არსებული სამართლიანი ღირებულებით, უმცირესობის წილის მოცულობის მიუხედავად.

გუდვილი თავდაპირველად აღირიცხება გადახდილ საფასურსა და ჯგუფის მიერ შეძენილ ამოცნობად წმინდა აქტივებსა და ვალდებულებებს ასევე მოსალოდნელ ვალდებულებებს შორის სხვაობით. თუ გადახდილი საფასური ნაკლებია შეძენილი კომპანიის წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებაზე სხვაობის აღიარება ხდება კონსოლიდირებული მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

წილი, რომელსაც არ ფლობს ჯგუფი წარმოადგენს უმცირესობის წილს. უმცირესობის წილი ანგარიშგების თარიღისთვის წარმოადგენს უმცირესობაში მყოფ აქციონერთა წილს ამოცნობად აქტივებს, ვალდებულებებს და პირობითი ვალდებულებებს მათი სამართლიანი ღირებულებით შესყიდვის დღეს და უმცირესობის წილს კაპიტალის მოძრაობაში შემოერთების დღიდან. უმცირესობის წილი წარმოდგენილია კაპიტალში.

ზარალი, რომელიც განაწილებულია უმცირესობის წილზე არ აღემატება უმცირესობის წილს შვილობილი კომპანიის კაპიტალში, თუ უმცირესობის წილის მფლობელებს არ აქვთ ზარალის გადაფარვასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულება. ყველა ასეთი ზარალი ნაწილდება ჯგუფზე.

კონსოლიდაციასთან დაკავშირებით გაუქმებული ტრანზაქციები

შიდა ჯგუფური ბალანსები და ტრანზაქციები, ნებისმიერი არარელაიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება შიდა ჯგუფური ტრანზაქციიდან არ არის გათვალისწინებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დროს.

3.2 უცხოური ვალუტა

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება კომპანიის მიერ საწარმოების შესაბამის საოპერაციო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. საბალანსო ანგარიშგების თარიღისთვის, ფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2011 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 1.6703 ლარს და ერთი ევროსთვის 2.1614 ლარს (2010 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 1.7728 ლარი და ერთი ევრო 2.3500 ლარი). გადაანგარიშება არ ხდება არაფულადი ერთეულების, რომლებიც არის ისტორიული ღირებულებით უცხოურ ვალუტაში.

საკურსო სხვაობა გამოწვეული ვალუტის გადაანგარიშებით ასახულია პერიოდის მოგება ზარალში.

სხვა ვალუტაში ფინანსური ანგარიშგების წარდგენა

შვილობილი კომპანიიდან, რომელიც თურქეთშია და თავის ანგარიშგება თურქულ ლირაში აწარმოებს, აქტივები და ვალდებულებები წარდგენილია ქართულ ლარში ჯგუფის მიერ, ვალუტის კურსად აღებული ანგარიშგების წარდგების თარიღი. შვილობილს შემოსავლები და ხარჯები, ჯგუფის ანგარიშგებაში წარდგენილია ქართულ ლარში წლის საშუალო კურსით, ხოლო შვილობილი კომპანიის კაპიტალი, ჯგუფის კაპიტალში წარდგენილია ისტორიული საკურსო სხვაობით. სხვაობა, რომელიც გამოწვეული საკურსო სხვაობით წარდგენილია სხვა კონსოლიდირებულ შემოსავლებში და დაკრედიტებულის ჯგუფის კაპიტალში, როგორც საკურსო სხვაობის რეზერვი. საკურსო სხვაობების წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	2011	2010
ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის საკურსო სხვაობა		
ქართული ლარი /თურქული ლირა	0.872	1.141
საშუალო საკურსო სხვაობა ქართული ლარი /თურქული ლირა	1.011	1.184

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები მომსახურების მიწოდებისათვის თუ ადმინისტრაციული დანიშნულებისათვის აღირიცხება ფინანსურ ანგარიშგებაში მათი გადაფასებული ღირებულებით, აკუმულირებული ცვეთისა და აკუმულირებული გაუფასურების გამოკლებით. გადაფასება ტარდება იმ სიხშირით, რომ გადაფასების შემდგომი საბალანსო ღირებულება მიახლოებით ასახავდეს აქტივის სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების პერიოდისთვის.

გადაფასების ნებისმიერი მეტობა ემატება კაპიტალში ჩართული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეტობა, რომელიც პირდაპირ აბათილებს იმავე აქტივის წინა პერიოდის მოგება

ზარალში აღიარებულ შემცირებას. საბალანსო ღირებულების შემცირება აქტივებზე, როგორც არის მიწა და შენობა ნაგებობები, აღიარება ხდება მოგება ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს შემცირება აჭარბებს წინა პერიოდში ამავე აქტივის გადაფასების რეზერვს.

აქტივების გადაფასების რეზერვიდან გაუნაწილებელ მოგებაში წლიური გადარიცხვა ხორციელდება გადაფასებული საბალანსო ღირებულების საფუძველზე გამოთვლილ ცვეთისა და თავდაპირველ ღირებულებაზე დაყრდნობით გამოთვლილ ცვეთას შორის სხვაობისათვის. კონკრეტული გაყიდული აქტივთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწვიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწვილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება კონსოლიდირებული მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება კონსოლიდირებული მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე რაც აქტივი შედის გამოყენებაში. ქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდგენიარად ნაწილდება:

- შენობა ნაგებობები 20 წელი
- ელექტრო გადამცემი ხაზები 20 წელი
- მანქანა დანადგარები 5 წელი
- სხვა 6-7 წელი.

3.4 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შექმნილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილი თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 20% წლიური განაკვეთის გამოყენებით.

3.5 იჯარით აღებული აქტივები

ყველა იჯარა აღიქმება, როგორც საოპერაციო იჯარა, თუ მის მფლობელობასთან დაკავშირებული რისკი და სარგებელი არ გადაეცემა ამ აქტივის იჯარით ამდებს (მოიჯარეს). საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება, როგორც ხარჯი წრფივი მეთოდის საფუძველზე. ყველა სხვა ხარჯი დაკავშირებული საოპერაციო იჯარასთან, როგორცაა შეკეთება და დაზღვევა აღიარებული იქნება ხარჯად მათი წარმოშობისთანავე.

3.6 ინვენტარი

ინვენტარი წარმოდგენილია საბალანსო დებულებასა და მისი სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებულ აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები დაკავშირებული აქტივის დასრულება გაყიდვასთან. ინვენტარის ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს რომელიც დაკავშირებულია აქტივის შექმნასთან და მის არსებული სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

3.7 სასესხო დანახარჯები

სასესხო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივების შექმნასთან, მშენებლობასთან ან შესაბამისი აქტივის წარმოებასთან, კაპიტალიზირდება როგორც ნაწილი ამ აქტივის ღირებულებისა. სხვა სასესხო დანახარჯები, აღიარებულია როგორც პერიოდის დანახარჯები იმ პერიოდისთვის, რომელშიც ისინი მოხდა. კომპანია სასესხო ხარჯების კაპიტალიზირებას აქტივზე, იწყებს იმ დღიდან, როცა დადგება შემდეგი: წარმოიქმნება დანახარჯი ამ აქტივზე, წარმოიქმნება სასესხო ხარჯი და ჩატარდება მოქმედებები ამ აქტივის იმ მდგომარეობაში მოსაყვანად, რათა გამზადებულ იქნას გამოსაყენებლად ან გასაყიდად.

სესხის ხარჯის კაპიტალიზირება წყდება, როდესაც კომპანია წყვეტს ამ აქტივის განვითარებას. სესხის კაპიტალიზირება წყდება, იმ შემთხვევაში, როცა აქტივი მოყვანილია მისი შესაძლო გამოყენების ან გაყიდვის მდგომარეობაში.

3.8 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივის და ფინანსური ვალდებულების აღიარება, მას შემდეგ რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო დებულების მონაწილე.

ფინანსური აქტივების უარყოფა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება სახელშეკრულებო უფლება ფინანსური სარგებლის მიღების შესახებ, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების უარყოფა ხდება მას შემდეგ, რაც იგი გაუქმდა, მისი სასიცოცხლო ვადა ამოიწურა ან გაუქმდა.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არის აღიცხული მოგება ზარალზე.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები განსაზღვრა მოყვანილია ქვემოთ.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივების გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტების დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- სესხები და მოთხოვნები
- ფინანსური აქტივები მათი სამართლიანი ღირებულებით მოგება ზარალზე
- გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები
- ვადიანი ინვესტიციები

ფინანსური აქტივები, მათი საწყისი აღიარებისას ნაწილდება სხვადასხვა კატეგორიებად, შესაბამისად მისი ხასიათისა და დანიშნულებისა. ფინანსური ინსტრუმენტის დაყოფა კატეგორიებად მნიშვნელოვანია გამომდინარე იქიდან, რომ მისი შედეგი შესაძლებელია აისახოს როგორც მოგება ზარალში, ასევე პირდაპირ კაპიტალზე. იხილეთ შენიშვნა 20.2 მოკლე შინაარსი ჯგუფის ფინანსური აქტივები კატეგორიებად.

ზოგადად, ჯგუფი ყველა ფინანსურ აქტივს აღიარებს ყოველდღიური აღრიცხვის საფუძველზე. აქტივის გაუფასურების შეფასება ხდება სულ მცირე ერთხელ წელიწადში. ყველა შემოსავალი და ხარჯი, დაკავშირებული ფინანსურ აქტივთან აღიარებულია მოგება ზარალის ანგარიშგებაში შესაბამის პუნქტად “ფინანსური ხარჯი” ან “ფინანსური შემოსავალი”.

i სესხები და მოთხოვნები

მიმდინარე მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია მისი სამართლიანი ღირებულებით. შემდგომში ისინი განისაზღვრება, როგორც ამორტიზირებულ ღირებულებას დაკლებული გაუფასურების რეზერვი. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება წარმოიშევა, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ ჯგუფი ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. დებიტორის მნიშვნელოვანი პრობლემები, გაკოტრება და სამართალდაღმკვება არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი იმისა, რომ მოთხოვნა გაუფასურდება. გაუფასურების ოდენობა განისაზღვრება აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მომავალი ფულადი ნაკადების, დისკონტირებულს ეფექტური განაკვეთით, ოდენობას შორის სხვაობით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილების ოდენობა აისახება კონსოლიდირებული მოგება ზარალის ანგარიშგებაზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, რომელიც ივარაუდება, რომ ვერ მიიღება, ხდება პირდაპირი ჩამოწერა.

ii ფული და ფულის ექვივალენტები

ჯგუფის ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ხელზე არსებული ფულისგან, მიმდინარე საბანკო ანგარიშებისა და ჩარიცხვის პროცესში მყოფი ფულისგან, რომელიც შედის “სესხებსა და მოთხოვნებში” და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ინსტრუმენტები.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები შეიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც იზომება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საფროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების პირობების მოდიფიკაციისას გამოიყენება შემდეგი სააღრიცხვო მიდგომები: ანულირება, იმ შემთხვევაში თუ მოხდა ფინანსური ვალდებულებების პირობების მნიშვნელოვანი მოდიფიცირება ან მოდიფიცირებული აღრიცხვა, იმ შემთხვევაში თუ ცვლილება არ არის მნიშვნელოვანი. ანულირებული აღრიცხვის შემხვევაში ხდება არსებული ვალდებულების უარყოფა, მოდიფიცირებული ვალდებულების აღიარება ხდება მისი სამართლიანი ღირებულებით, ხოლო ახალსა და ძველ ვალდებულებას შორის წარმოშობილი სხვაობა წარმოქმნის ზარალს ან მოგებას. მოდიფიცირებული აღრიცხვის შემთხვევაში არ ხდება მოგების ან ზარალის აღიარება.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია 20.2 შენიშვნაში.

i სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებების პირველადი აღიარება ხდება მისი პირველადი ღირებულებით, წმინდა გამოშვების ღირებულებით. საწყისი აღიარების შემდეგ სასესხო ვალდებულებები წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, ხოლო სხვაობა წარმოშობილი მის საწყის ღირებულებასა და ჩანაცვლების ღირებულებას შორის აისახება პერიოდის კონსოლიდირებულ მოგება ზარალის ანგარიშგებაზე. საპროცენტო და სხვა ხარჯები დაკავშირებული სესხთან აღიარებულ იქნება როგორც ფინანსური ხარჯი, გარდა სასესხო ხარჯისა, რომელიც შესაძლებელია პირდაპირ იქნას მიკუთვნებული შესყიდვაზე, მშენებლობასა თუ წარმოებაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში კაპიტალიზირდება როგორც აქტივი.

ii სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება წარმოდგენილია მისი სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით.

3.9 გაუფასურება

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია აქტივის სასიცოცხლო ვადის განსაზღვრა, არ ერიცხება ამ აქტივის ამორტიზაცია და ხდება მისი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება. აქტივები, რომლებსაც ერიცხებათ ამორტიზაცია ხდება მათი გაუფასურების გადახედვა იმ შემთხვევაში, როცა რაიმე სახის ცვლილება მიუთითებს, რომ მისი საბალანსო ღირებულება არასამართლიანია. გაუფასურების ზარალი მომენტალურად აისახება, როგორც

ხარჯი იმ შემხვევაში როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის გამოყენებით ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით და გაუფასურების ზარალი პირდაპირ ამცირებს გაუფასურების რეზერვს.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის შებრუნება, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუ ეს აქტივი არ არის გადაფასებული მდგომარეობით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის შებრუნება განისაზღვრება როგორც გადაფასების ზრდა.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივები, გარდა იმ აქტივებისა, რომლებიც წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით და ასახულია მოგება ზარალის ანგარისგებაში, ხდება გაუფასურების საჭიროების შეფასება საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური აქტივების გაუფასურება ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური აზრი ერთი ან რამოდენიმე შემთხვევის აღმოჩენისა, რომელსაც აქვს გავლენა ინვესტიციის მომავალ ფულად ნაკადებზე.

ფინანსური აქტივებისთვის, წარმოდგენილი ამორტიზირებული ღირებულებით, გაუფასურება წარმოადგენს აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის სხვაობას. ყველა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, სადაც საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით.

თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდა და ეს შემცირება შესაძლებელია ობიექტურად დაკავშირებულ იქნას მომხდარ შემთხვევასთან, წარმოშობილი გაუფასურების აღიარების შემდეგ წინამდებარე აღიარებული გაუფასურების ზარალი შებრუნდება მოგება ზარალის გამოყენებით იმ პირობით, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება გაუფასურების შებრუნების თარიღისთვის არ გადააჭარბებს აქტივის ამორტიზირებად ღირებულებას, გაუფასურების არ აღიარების შემთხვევაში.

3.10 კაპიტალი

ჯგუფის მიერ გამოშვებული კაპიტალის ინსტრუმენტები აღირიცხება მიღებული შემოსავლით. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

3.11 ბრანტები

გრანტების აღიარება არ ხდება, მანამდე, სანამ არ არსებობს საფუძვლიანი მტკიცება, რომ ჯგუფი შეესაბამება იმ მდგომარეობას, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია გრანტის მიღება.

გრანტები, რომელიც მიზნად ისახავს, რომ ჯგუფმა ააშენოს ან შეესწავლოს არამატერიალური აქტივები, აღიარდება როგორც გადავადებული შემოსავალი საბალანსო ანგარიშგებაში და მოხდება მათი გადატანა მოგება ზარალის ანგარიშგებაში სისტემატურად და რაციონალურ საფუძველზე, მასთან დაკავშირებული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში.

სხვა სახელმწიფო გრანტები აღიარდება შემოსავლად იმ პერიოდების განმავლობაში, რომელი პერიოდის საკომპენსაციოდაც იყო გამიზნული. გრანტები, რომლებიც წარმოდგენილია როგორც მოთხოვნები, უკვე გამოწვეული ხარჯებისა თუ ზარალის საკომპენსაციოდ ჯგუფის ფინანსური მხარდაჭერისათვის და რომელთაც არ გააჩნიათ სამომავლო ხარჯი, აღიარდება როგორც მოგება ან ზარალი იმ პერიოდისთვის, რომელშიც წარმოიშვა როგორც მოთხოვნა.

3.12 რეზერვები

რეზერვის აღიარება ხდება ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ჯგუფს აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარმოქმნილი წარსულში მომხდარი შემთხვევის შედეგად და არის საგულისხმო ალბათობა, რომ მოხდება ეკონომიკური სარგებლის გადინება ვალდებულების გასასტუმრებლად. თუ ეფექტი მატერიალურია, რეზერვი განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით დაბეგვრამდე განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის ღირებულებას დროში და საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს ვალდებულების რისკიანობას.

3.13 საშემოსავლო ბაზასახადი

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ შემოსავალზე, დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშგების თარიღისთვის და საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებული წინა წლებთან.

გადავადებული გადასახადი ასახულია საბალანსო უწყისის ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის აქტივების და პასივების საბალანსო ღირებულებებისა და გადასახადებით დაბეგვრის მიზნებისთვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობების გათვალისწინებით. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ზოგადად აღიარდება ყველა დასაბეგრი განსხვავებისთვის. გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება ყველა გამოქვითვადი დროებითი განსხვავებებისთვის იმ შემთხვევაში თუ არის ალბათობა, რომ დასაბეგრი მოგება, რომლისთვისაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ეს გამოქვითვადი დროებითი განსხვავება. მსგავსი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება თუ წარმოქმნილი დროებითი განსხვავება წარმოიშვა გუდვილიდან ან აქტივებისა და ვალდებულებების პირველად აღიარებიდან (სხვა ვიდრე ბიზნეს კომბინაცია), რომელიც იმყოფება გადაცემის პროცესში და არ აქვს გავლენა არც დასაბეგრ და არც სააღრიცხვო მოგებაზე.

შვილობილ კომპანიებში, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციების შედეგად წარმოშობილ დროებით სხვაობებზე წარმოიშობა გადავადებული მოგების გადასახადი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დროებითი სხვაობის შებრუნების დროს გაკონტროლება შესაძლებელია და მოსალოდნელია, რომ დროებითი სხვაობის შებრუნებას ადგილი არ ექნება ახლო მომავალში. გადავადებული საგადასახადო აქტივი, წარმოშობილი გამოქვითვადი დროებითი განსხვავებიდან, რომელიც დაკავშირებულია მსგავს ინვესტიციებთან და პროცენტთან, აღიარებადია იმ შემთხვევაში თუ არის ალბათობა, რომ იქნება საკმარისი დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც გამოიყენება დროებითი განსხვავების სარგებელი და მოსალოდნელია დროებითი სხვაობის შებრუნება ახლო მომავალში.

გადავადებული აქტივის საბალანსო ღირებულება გადახდილ იქნება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და შემცირდება იმის საფუძველზე, რომ აღარ არის ალბათობა საკმარისი დასაბეგრი მოგების წარმოშობისა, რათა მიეცეს აქტივის უკან მიღების ნაწილობრივი ან სრული შესაძლებლობა.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები განისაზღვრება საგადასახადო ნორმით, რომელიც მოსალოდნელია, რომ გამოყენებულ იქნება იმ პერიოდში, რომელშიც ვალდებულება წარმოიშვა და აქტივი რეალიზებულ იქნა, დაფუძნებული საგადასახადო ნორმაზე (და საგადასახადო კანონმდებლობაზე), რომელიც დადგენილია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებისა და აქტივის საზომად გამოდგება საგადასახადო შედეგები, რომლებიც თანხვედრაში იქნებოდა ჯგუფის მოლოდინებთან, რათა აინაზღაუროს ან გადაწვიტოს საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოს.

გადავადებული საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები გაიქვითება, თუ არსებობს კანონიერი უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივები გაიქვითოს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებით და როცა ისინი დაკავშირებულია საშემოსავლო გადასახადთან, რომელიც აკრეფილია იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ და ჯგუფს განზრახული აქვს საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა.

3.14 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი განისაზღვრება მისივე სამართლიანი ღირებულებით ან სავაჭრო მოთხოვნებით, რომელშიც გათვალისწინებულია ჯგუფის მიერ გაკეთებული ფასდაკლებები და ფასდათმობები.

შემოსავალი მცირდება შეფასებული ფასდაკლებებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

სერვისის გაწევა

ჯგუფი იღებს შემოსავალს ელექტროენერჯის გადაცემიდან და დისპეჩერიზაციიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. შემოსავლის აღიარება ხდება, როცა სერვისი გაწეულია და მომხმარებლის მიერ დამოწმებულია, რომელიც თავის მხრივ დასტურდება ინვოისითა და მიღება-ჩაბარების აქტით ხელმოწერილი ჯგუფისა და კლიენტის მხრიდან.

ღივიდენდები და საპროცენტო შემოსავლები

შემოსავალი ღივიდენდებიდან აღიარდება მას შემდეგ, რაც წარმოიშობა აქციონერების უფლება მიიღონ სარგებელი.

საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება პერიოდულად, რომელიც დაკავშირებულია ძირსა და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან. ეს განაკვეთი წარმოადგენს მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირების განაკვეთს ფინანსური აქტივის მოსალოდნელი სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში.

საიჯარო შემოსავალი

საინვესტიციო საშუალებებისგან მიღებული შემოსავალი აღიარდება წრფივი მეთოდის გამოყენებით იჯარის პირობების შესაბამისად.

4 ძირითადი საშუალებები

ათასი ლარი	მიწა და შენობა ნაგებობები	ელექტრო ენერჯის გადამცემი საზეუბი	ტექნიკა, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
<i>ღირებულება ან შეფასება</i>					
2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	58,148	136,315	110,531	114,310	419,304
მატება	460	-	338	47,127	47,925
კლება	-	-	(1,467)	(10,010)	(11,477)
შიდა მოძრაობა	2,359	15,206	47,435	(65,000)	-
2010 წლის 31 დეკემბერი	60,967	151,521	156,837	86,427	455,752
მატება	23,324	-	149	254,713	278,186
კლება	(21,815)	-	(1,113)	(3,503)	(26,431)
შიდა მოძრაობა	480	(7,373)	48,708	(41,815)	-
2011 წლის 31 დეკემბერი	62,956	144,148	204,581	295,822	707,507
<i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i>					
2010 წლის 1 იანვარი	13,637	13,942	25,135	14,072	66,786
წლის ცვეთა	2,728	13,294	13,855	-	29,877
გადაფასების აცილება	-	-	(248)	-	(248)
2010 წლის 31 დეკემბერი	16,365	27,236	38,742	14,072	96,415
წლის ცვეთა	2,391	13,569	14,440	-	30,400
კლების აცილება	(3,179)	-	(292)	-	(3,471)
2011 წლის 31 დეკემბერი	15,577	40,805	52,890	14,072	123,344
<i>საბალანსო ღირებულება</i>					
2009 წლის 31 დეკემბერი	44,511	122,373	85,396	100,238	352,518
2010 წლის 31 დეკემბერი	44,602	124,285	118,095	72,355	359,337
2011 წლის 31 დეკემბერი	47,379	103,343	151,691	281,750	584,163

დამატებები ძირითად საშუალებებზე წარმოდგენილია ამ ძირითადი საშუალებების ღირებულებით და კაპიტალური სამუშაოებით, რომელიც ჩატარებულია ენერჯო სექტორის რეაბილიტაციისა და განვითარების პროექტის ქვეშ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების დახმარებით, ფინანსთა სამინისტროს გავლით მიღებული სესხით (იხილეთ შენიშვნა 10).

278,186 ათასი ლარის დამატება შეიცავს (2010: 47,925 ათასი ლარი) შეიცავს კაპიტალურ ხარჯებს 16,189 ათასი ლარის ოდენობით (2010: 22,808 ათასი ლარი), ასევე კაპიტალიზირებად სასესხო ხარჯს 8,454 ათას ლარს (2010: 1,088 ათასი ლარი) და შექმნას 238,288 ათასი ლარის ოდენობით (2010: 22,352 ათასი ლარი).

დამატებები ასევე შეიცავს აქციონერების შენატანებს 23,709 ათასი ლარის ოდენობით (2010: 443 ათასი ლარი), მოხდა კაპიტალის შევსება. (იხილეთ შენიშვნა 9). დამატებები აღრიცხული არის აქტივის წმინდა ღირებულებით, რომელიც დადგენილია დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ გარიგების დღეს.

ძირითადი საშუალებების კლებაში შედის 18,607 ათასი ლარის ღირებულების შენობა, რომელიც დაბრუნებულ იქნა აქციონერისთვის ჯგუფის მიერ და აღრიცხულ იქნა კაპიტალში, როგორც კაპიტალის შემცირება 14,630 ლარის ოდენობით, გადაფასების რეზერვში კი აღრიცხა 3,977 ათასი ლარი.

ჯგუფის ძირითადი საშუალებები საბალანსო ღირებულებით 66,511 ლარის ოდენობით ჩადებულია ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებული სესხის უზრუნველყოფაში 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2010 წლის 31 დეკემბერი 73,214 ათასი ლარი).

ძირითად საშუალებებში შედის შენობა-ნაგებობები, ელექტრო გადამცემი ხაზები და ადტურვილობა საბალანსო ღირებულებით 9,518 ათასი ლარი (2010: 8,566 ათასი ლარი), რომელიც განლაგებულია აფხაზეთის ტერიტორიაზე. გამომდინარე 1991 წლის ქართულ აფხაზური კონფლიქტიდან, აფხაზეთის ტერიტორია მიიჩნევა კონფლიქტურ რეგიონად, ამიტომ ჯგუფს აქვს ძალიან შეზღუდული კონტროლი იქ არსებულ აქტივებზე.

იმ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არ იმყოფება ექსპლუატაციაში, 2011 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 2,794 ათას ლარს (2010 წლის 31 დეკემბერი 2,565 ათასი ლარი).

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად ამორტიზირებული აქტივების საბალანსო ღირებულება შეადგენს 11,185 ათას ლარს (2010 წლის 31 დეკემბერი: 11,185 ათას ლარს)

ძირითადი საშუალებების გადაფასება

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია მათი გადაფასებული მდგომარეობით. გადაფასება ჩატარებულია დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

გამომდინარე ჯგუფის აქტივების თავისებურებებიდან, სპეციალიზირებული აქტივების შემთხვევაში გამოყენებული იყო ჩანაცვლების მეთოდი (ღირებულების ანალიზი), ხოლო არასპეციალიზირებული აქტივების შემთხვევაში, შედარების მეთოდი, თუ საბაზრო ინფორმაცია შესადარებელ აქტივებზე საკმარისად იყო წარმოდგენილი.

შედარებითი მეთოდის გამოყენების შემთხვევაში სამართლიან ღირებულებად განისაზღვრება საბაზრო ფასი იმავე სახეობის აქტივზე დროის ამავე პერიოდში.

ჩანაცვლების მეთოდის გამოყენების შემთხვევაში აქტივის სამართლიან ღირებულებად განისაზღვრება დანახარჯების ის მოცულობა, რომელიც საჭიროა მსგავსი აქტივის ასაგებად, შემცირებული შესაბამისი ცვეთით, რომელიც მოიცავს ფიზიკურ გამოღევას, ეკონომიკურ და ფუნქციონალურ ცვეთას შეფასების დღისთვის.

იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფის ძირითადი საშუალებები წარმოდგენილი იქნებოდა ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა, მაშინ საბალანსო

ღირებულება 2011 წლის 31 დეკემბრისთვის იქნებოდა 452,727 ათასი ლარი (2010 წლის 31 დეკემბრისთვის 241,383 ათასი ლარი).

5 არამატერიალური აქტივები

ათასი ლარი	პროგრამა	უფლებები და ლიცენზიები	სულ
2010 წლის 1 იანვარი	299	131	430
მატება	70	4,852	4,922
2010 წლის 31 დეკემბერი	369	4,983	5,352
მატება	17	29	46
კლება	-	(86)	(86)
2011 წლის 31 დეკემბერი	386	4,926	5,312
საბალანსო ღირებულება			
2010 წლის 1 იანვარი	124	27	151
ცვლილება წლის განმავლობაში	11	716	727
2010 წლის 31 დეკემბერი	135	743	878
საბალანსო ღირებულება			
2011 წლის 31 დეკემბერი	164	1,674	1,838
საბალანსო ღირებულება			
2009 წლის 31 დეკემბერი	175	104	279
2010 წლის 31 დეკემბერი	234	4,240	4,474
2011 წლის 31 დეკემბერი	222	3,252	3,474

6 გადავადებული საშემოსავლო გადასახადი აქტივი/(ვალდებულება)

გადავადებული საშემოსავლო გადასახადის ცვლილება წარმოდგენილია ქვემოთ:

ათასი ლარი	2011	2010 შესწორებულ ო)
საწეისი ბალანსი	3,908	(1,923)
დაკრედიტებული მოგება ზარალზე (იხ. შენიშვნა 18)	(1,073)	5,831
საბოლოო ბალანსი	2,835	3,908

გადავადებული საშემოსავლო გადასახადი 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2011 წლის 1 იანვარი	აღიარებული მოგება ზარალზე	2011 წლის 31 დეკემბერი
<i>გადავადებული საშემოსავლო საგადასახადო აქტივი</i>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	561	(342)	219
გრანტი დაკავშირებული აქტივებთან მომავალში გადასატანი აგადასახადო ზარალი	3,437	539	3,976
	40,166	(3,604)	36,562
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,246	502	10,748
	<u>54,410</u>	<u>(2,905)</u>	<u>51,505</u>
<i>გადავადებული საშემოსავლო საგადასახადო ვალდებულება</i>			
ძირითადი საშუალებები	10,674	1,772	12,446
	<u>10,674</u>	<u>1,772</u>	<u>12,446</u>
წმინდა გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	43,736	(4,677)	39,059
გადავადებული საგადასახადო აქტივის შეფასება	(39,828)	3,604	(36,224)
წმინდა პოზიცია	<u>3,908</u>	<u>(1,073)</u>	<u>2,835</u>

გადავადებული საშემოსავლო გადასახადი 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2010 წლის 1 იანვარი (შესწორებული)	აღიარებული მოგება ზარალზე	2010 წლის 31 დეკემბერი (შესწორებული)
<i>გადავადებული საგადასახადო აქტივი</i>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	561	561
გრანტი დაკავშირებული აქტივებთან მომავალში გადასატანი აგადასახადო ზარალი	793	2,644	3,437
	1,198	38,968	40,166
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14,036	(3,790)	10,246
	<u>16,027</u>	<u>38,383</u>	<u>54,410</u>
<i>გადავადებული საშემოსავლო საგადასახადო ვალდებულება</i>			
ძირითადი საშუალებები	17,950	(7,276)	10,674
	<u>17,950</u>	<u>(7,276)</u>	<u>10,674</u>
წმინდა პოზიცია – გადავადებული საშემოსავლო გადასახადი აქტივი/(ვალდებულება)	(1,923)	45,659	43,736
გადავადებული საგადასახადო	-	(39,828)	(39,828)
წმინდა პოზიცია	<u>(1,923)</u>	<u>5,831</u>	<u>3,908</u>

ანალიზი:	2011	2010 (შესწორებული)
ანაზღაურებადი /12 თვეზე განმავლობაში	(1,105)	(1,146)
ანაზღაურებადი/12 თვეზე მეტი	3,940	5,054

7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასი ლარი	2011 წლის 31 დეკემბერი	2010 წლის 31 დეკემბერი	2009 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	79,224	77,642	111,172
ავანსები და წინასწარ გადახდები	1,710	1,917	-
სხვა მოთხოვნები	2,317	1,967	7,835
	<u>83,251</u>	<u>81,526</u>	<u>119,007</u>
საექვო მოთხოვნების კორექტირება	(75,378)	(73,469)	(108,548)
წმინდა მოთხოვნები	<u>7,873</u>	<u>8,057</u>	<u>10,459</u>
მოთხოვნები სახელმწიფო ბიუჯეტისგან	36,419	2,875	4,228
	<u>44,292</u>	<u>10,932</u>	<u>14,687</u>

საშუალო საკრედიტო პერიოდი გაყიდვებზე შეაგენს 25 დღეს (2010: 31 დღე, 2009: 23 დღე). სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც მეტია 365 დღეზე მთლიანად გადატანილია საექვო მოთხოვნებში, რადგან ჯგუფს ისტორიული პრაქტიკა უჩვენებს, რომ ეს მოთხოვნები არ არის დაბრუნებადი.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის მოთხოვნები მთლიანად დაბრუნებადია.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების წმინდა ღირებულება მიახლოებულია საბალანსო ღირებულებასთან.

2011 წლის 31 დეკემბრისთვის 78,745 ათასი ლარის სავაჭრო მოთხოვნები (2010: 78,783 ათასი ლარი, 2009: 113,674 ათასი ლარი) იქნა გაუფასურებული. დარეზერვებულ იქნა 75,378 ათასი ლარის (2010: 73,469 ათასი ლარის, 2009: 108,548 ათასი ლარის). ინდივიდუალურად ჩამოწერილი სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად დაკავშირებულია იმ მომხმარებლებთან, რომლებიც იმყოფებიან ლიკვიდაციის პროცესში.

მოთხოვნების სანდაზმულობის ანალიზი:

ათასი ლარი	2011 წლის 31 დეკემბერი	2010 წლის 31 დეკემბერი	2009 წლის 31 დეკემბერი
6 თვეზე ქვემოთ	-	-	-
6 თვიდან 1 წლამდე	-	-	5,639
1 წელზე მეტი	78,745	78,783	108,035
	<u>78,745</u>	<u>78,783</u>	<u>113,674</u>

იმ სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება, რომლებიც გადახედულ იქნა და სხვა შემთხვევაში იქნებოდა გაუფასურებული ან მოძველებული შეადგენს 396 ათას ლარს (2010: 46 ათას ლარს; 2009: 1,017 ათას ლარს).

მოძრაობა სავაჭრო მოთხოვნების ანგარიშებზე წარმოდგენილია ქვემოთ:

ათასი ლარი	2011	2010	2009
ბალანსი წლის დასაწყისში	73,469	108,548	379,781
რეზერვის ზრდა	1,909	115	-
რეზერვის შებრუნება წლის განმავლობაში (ალიარდება სხვა საოპერაციო მოგებაზე)	-	-	(1,101)
ჩამოწერილი სავაჭრო მოთხოვნები წლის განმავლობაში	-	(35,194)	(270,132)
ბალანსი წლის ბოლოს	<u>75,378</u>	<u>73,469</u>	<u>108,548</u>

სავაჭრო მოთხოვნების ანაზღაურებადობის განსაზღვრისას, ჯგუფი ითვალისწინებს ნებისმიერ ცვლილებას დებიტორის მხრიდან გადახდის სქემაში ანგარიშგების დღისთვის. საკრედიტო რისკის კონცენტრირება შეზღუდულია გამოდინარე მომხმარებელთა მრავალფეროვნებიდან და მათი ერთმანეთთან ურთიერთკავშირის არქონიდან. შესაბამისად, კომპანიის მმართველებს სწამთ, რომ არ არის საჭირო რაიმე სხვა სახის რეზერვის შექმნა გარდა სავაჭრო მოთხოვნების კორექტირებისა.

შენიშვნა 21.1-ში ნაჩვენებია თუ რომელ ვალუტაშია წარმოდგენილი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

8 ფული და საბანკო ბალანსები

ათასი ლარი	As of December 31, 2011	As of December 31, 2010	As of December 31, 2009
ფული ხელზე	21	14	30
საბანკო ანგარიშები	89,743	39,819	16,133
	<u>89,764</u>	<u>39,833</u>	<u>16,163</u>

9 კაპიტალი

9.1 სააქციო კაპიტალი

2011 წლის სექტემბერს პარტნიორმა კომპანიამ შეცვალა თავისი იურიდიული სტატუსი და გახდა დახურული სააქციო საზოგადოება (აღრე შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია). 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,

პარტიორი კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 25,488,577 აქციას, თითო 20 ლარი, რომელიც სრულად არის გადახდილი. 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კაპიტალის 1 ნომინალი შეადგენდა 447,522 ათას ლარს.

2011 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალი შეიცვალა შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2011 წლი 31 დეკემბერი	2010 წლი 31 დეკემბერი	2009 წლი 31 დეკემბერი
ძირითადი საშუალებები (იხ. შენიშვნა 4)	23,709	443	15,849
ინვესტიცია შპს ენერჯო ტრანსში	-	-	38,315
ფული	60,000	20,000	-
	<u>83,709</u>	<u>20,443</u>	<u>54,164</u>

ძირითადი საშუალებების ღირებულება განსაზღვრა დამოუკიდებელმა აუდიტორმა და წარმოდგენილია მათი სამართლიანი ღირებულებით ტრანზაქციის თარიღისთვის.

9.2 გადაფასების რეზერვი

გადაფასების რეზერვი წარმოიქმნება ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგად. გადაფასების ნამეტის ტრანსფორმაცია ხდება პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაზე, ჯგუფის აქტივის სახით. ნამეტის მოცულობა არის სხვაობა გადაფასებული აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ცვეთადარიცხული აქტივის საწყის ღირებულებას შორის. გადაფასების რეზერვი წარმოდგენილია გადავადებული გადასახადების გარეშე.

10 სესხები

ათასი ლარი	მიმდინარე			გრძელვადიანი		
	2011	2010	2009	2011	2010	2009
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (IDA)	5,173	3,131	4,926	39,165	50,451	43,182
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (KfW)	4,363	6,420	2,402	126,144	102,725	66,517
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (EIB)	-	-	-	80,733	63,241	-
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (EBRD)	-	-	-	68,312	26,525	-
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	-	-	-	7,112	2,501	-
	<u>9,536</u>	<u>9,551</u>	<u>7,328</u>	<u>321,466</u>	<u>245,443</u>	<u>109,699</u>

საერთაშორისო გავნითარების ასოციაციისგან (IDA) მიღებული სესხი, როგორც ქვე-სესხი მიღებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან, რათა განხორციელდეს ენერჯექტივის ბაზრის განვითარება და რეაბილიტაცია ენერჯექტივის ბაზრის მხარდაჭერის პროექტის ქვეშ (“EMSP”).

მიღებული სესხები რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით, შედგება ოთხი ნაწილისგან, რომელიც განკუთვნილია შემდეგი პროექტების განხორციელებისთვის: ენერჯექტივის ბაზრის განვითარებისა და რეაბილიტაციის პროექტი (“EMSP”); ენერჯია IV (“Energy IV”) – ენერჯექტივის სექტორის რეაბილიტაციისთვის; სექტორისთვის ენერჯის

მიწოდების პროექტი (“Sector Program Power Supply”) და რეგიონალური ენერგეტიკული ქსელის რეაბილიტაციის პროექტი (“Regional Power Network Rehabilitation 1”)

მიღებული სესხის დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ:

გამსესხებელი	ვალუტა	საკონტრაქტო საშუალო საპროცენტო განაკვეთი მსოფლიო ბანკის ხაზინის საპროცენტო განაკვეთი	საშუალო სამგრძლივობა
საერთაშორისო განვითარების სააგენტო	USD		15-Sep-22
რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი KfW	Euro	3.70%	18-May-29
ევროპის საინვესტიციო ბანკი	Euro	1.39%	15-Oct-23
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი	Euro	2.29%	8-Jul-25
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	Euro	7.50%	28-Jul-18

საერთაშორისო განვითარების სააგენტოსგან (IDA) მიღებული სესხი უზრუნველყოფილია ჯგუფის აქტივებით (იხ. შენიშვნა 4). რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკისგან მიღებული სესხი არ არის უზრუნველყოფილი.

რეაბილიტაციის გეგმის ქვეშ, მიმდინარე პროცენტები და დარიცხული ვალდებულებები მიღებულ სესხებზე გადასახდელია მათი გადახდის ვალდებულების წარმოშობის თანავე. ძირის, დაგროვილი პროცენტის, ჯარიმების და სხვა ვალდებულებების დაკავშირებული სესხთან, რომელიც გადასახდელია რეაბილიტაციის დაწყების თარიღისთვის, 2006 წლის 30 იანვრისთვის, გადავადებულია 2011 წლამდე. გადავადებული ვალდებულებების ოდენობა შეადგეს 3,818 ათას ლარს (2010: 6,958 ათას ლარს; 2009: 9,273 ათას ლარს) უნდა იქნეს 2011 დან 2023 წლების განმავლობაში რეაბილიტაციის გეგმის შესაბამისად (შენიშვნა 11). გადავადებულ ვალდებულებებს აღარ ერიცხება რაიმე დამატებითი ჯარიმები.

სესხის სამართლიანი ღირებულება ტოლია მისი საბალანსო ღირებულების.

სესხები შესაბამისი ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 21.1.

ჯგუფს აქვს შემდეგი გამოუყენებელი სასესხო საშუალებები:

ათასი ლარი

	2011 წლის 31 დეკემბერი	2010 წლის 31 დეკემბერი	2009 წლის 31 დეკემბერი
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (IDA)	15,929	-	3,065
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (KfW)	114,555	140,899	13,689
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (EIB)	92,596	124,176	-
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (EBRD)	104,483	159,110	-
	<u>327,563</u>	<u>424,185</u>	<u>16,754</u>

საპროცენტო განაკვეთის და უცხოური ვალუტის რისკი და გავლენა ჯგუფზე უფრო დეტალურად იხილეთ შენიშვნა 21.

11 ვალდებულებების რესტრუქტურირება

ათასი ლარი	2011 წლის 31 დეკემბერი	2010 წლის 31 დეკემბერი	2009 წლის 31 დეკემბერი
საეკონომიკური ვალდებულებები	27,999	29,665	24,494
ვალდებულებები სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე	81,888	79,270	85,655
სესხები და დაგროვილი პროცენტი	3,818	6,958	9,273
	<u>113,705</u>	<u>115,893</u>	<u>119,422</u>
სამართლიან ღირებულებაზე შესწორება	(54,498)	(60,169)	(65,171)
	<u>59,207</u>	<u>55,724</u>	<u>54,251</u>

რესტრუქტურირებული ვალდებულებები წარმოადგენს თანხებს, რომელიც წარმოიშვა რეაბილიტაციის თარიღამდე (2006 წლის 30 იანვარი), მათი გადახდა კი გადაიდო ჯგუფის რთული ფინანსური მდგომარეობის გამო. 2008 წლის 28 ნოემბერს სასამართლოს მიერ დამტკიცდა ახალი სარეაბილიტაციო გეგმა. ამ გეგმის მიხედვით გადახდა გადაიდო 2011 წლამდე, სრული გადახდა კი მოხდება 2023 წლამდე-რეაბილიტაციის პერიოდის დასრულებამდე.

ჯგუფის მთავარი კრედიტორი არის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. სამინისტროს მიმართ ვალდებულებებს შეადგენს გადასახადები, სესხები და დაგროვილი პროცენტები, რომელიც უზრუნველყოფილია ჯგუფის ქონებით (იხ. შენიშვნა 4).

რესტრუქტურირებული ვალდებულებები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. 2008 წელს, ახალი სარეაბილიტაციო გეგმის დამტკიცების შემდეგ, 2009 წელს ჯგუფმა შეაფასა გადავადებული ვალდებულებების წმინდა ღირებულება, რათა ნათელი გაეხადა განახლებული გადახდის პირობები. წმინდა ღირებულებად განსაზღვრულ იქნა მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება საშუალო საბაზრო 9.57%-იანი განაკვეთით. მოგება წმინდა ღირებულებიდან აღიარებულ იქნა ფინანსურ შემოსავალში.

12 აქტივებთან დაკავშირებული ბრანტები

ათასი ლარი	2011	2010	2009
ბალანსი წლის დასაწყისში	23,910	5,286	5,814
დაკრედიტებული მოგება ზარალის ანგარიშგებაში	(528)	(528)	(528)
წლის განმავლობაში მიღებული	5,405	19,152	-
ბალანსი წლის ბოლოს	<u>28,787</u>	<u>23,910</u>	<u>5,286</u>

2000 წელს ჯგუფმა RWE Energy Limited-დან, რომელიც დაფუძნებულია ქალაქ ესენში, გერმანიაში, მიიღო გრანტი 10,571 ათასი ლარის ოდენობით დენომინირებული ამერიკულ დოლარში, რათა შემდგომი ერთობლივი ოპერაციებისთვის რეაბილიტაცია განეხორციელებინა გადამცემი ხაზებისთვის. გრანტის ამორტიზაციის პერიოდია 20 წელიწადზე მეტი, რაც დაახლოებით ენერჯის გადამცემი ხაზების სასიცოცხლო პერიოდია.

დამატებები წლის განმავლობაში წარმოადგენენ ფინანსურ შენატანებს KfW-დან სასესხო კონტრაქტის ფარგლებში. როგორც ფინანსური დახმარება, ასევე სესხი, მიღებულ იქნა შავი ზღვის ენერჯეტიკის გადაცემის პროექტის ფარგლებში. სესხის კონტრაქტის მიხედვი მთლიანი ფინანსური შენატანის ოდენობა განისაზღვრება 25,000 ათას ევროდ, რომელიც მისაღებია სესხის დანახარჯების მიხედვით. კონტრაქტის პირობების მიხედვით, ფინანსური შენატანი არ არის გადახდადი, თუ კომპანია ვერ შეასრულებს ვალდებულებებს KfW-ს მიმართ, არასწორად გამოიყენებს თანხებს ან სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის პროექტის განხორციელებას.

13 გადავადებული დამატებითი ღირებულების გადასახადის ვალდებულებები

გადავადებული დამატებითი ღირებულების გადასახადის ვალდებულებები წარმოადგენენ სახელმწიფო ბიუჯეტისადმი გადასახდელ თანხებს, რომელიც წარმოიშვა 2000 წლამდე. ”დამატებითი ღირებულების გადასახადის” შესახებ კანონის მიხედვით, დღე წარმოშობილი 2000 წლამდე არსებული გაყიდვებით, მას შემდეგ ექვემდებარება გადახდას, რაც ანგარიშ-ფაქტურის თანხების გადახდა მოხდება მომხმარებლების მიერ. გადავადებული თანხა ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოადგენს დამატებითი ღირებულების გადასახადს მოთხოვნებზე, რომლებიც ანგარიშგების თარიღისთვის არ განაღდებულა. თუ ჯგუფის მიერ ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების განაღდება ვერ მოხდება, მაშინ გადასახდელი დღე ჩამოიწერება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებიდან.

14 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათასი ლარი	2010 წლის		
	2011 წლის 31 დეკემბერი	31 დეკემბერი	2009 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	5,689	1,655	5,174
ვალდებულებები სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ	1,953	3,560	3,256
სხვა	120,644	17,783	9,008
	<u>128,286</u>	<u>22,998</u>	<u>17,438</u>

15 შემოსავალი

ათასი ლარი	2011 წლის 31 დეკემბერი	2010 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი ელექტროენერჯის გადაცემიდან	37,362	34,529
შემოსავალი ელექტროენერჯის დისპეჩერიზაციიდან	11,464	10,598
შემოსავალი ელექტროენერჯის ექსპორტიდან	6,049	4,824
სხვა	77	134
	<u>54,952</u>	<u>50,085</u>

შემოსავალი ექსპორტიდან შედგება ელექტროენერჯის გადაცემისა და დისპეჩერიზაციისგან.

16 ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

ათასი ლარი	2011 წლის 31 დეკემბერი	2010 წლის 31 დეკემბერი
საპროცენტო ხარჯი ბანკიდან აღებულ სესხებზე	5,643	4,639
დისკონტის ამორტიზაცია რესტრუქტურისებულ ვალდებულებებზე	5,671	5,174
მთლიანი ფინანსური დანახარჯები	<u>11,314</u>	<u>9,813</u>
საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებზე	4,762	2,923
მთლიანი ფინანსური შემოსავალი	<u>4,762</u>	<u>2,923</u>
წმინდა ფინანსური დანახარჯები	<u>(6,552)</u>	<u>(6,890)</u>

17 სხვა ფინანსური ერთეულები

სხვა ფინანსური ერთეულები შედგება შემდეგისაგან:

ათასი ლარი	2011 წლის 31 დეკემბერი	2010 წლის 31 დეკემბერი
მოგება (ზარალი) საკურსო სხვაობიდან:		
სესხები და მოთხოვნები	(1,470)	(417)
ფინანსური ვალდებულებები ამორტიზირებული ღირებულებით	<u>32,533</u>	<u>4,157</u>
	<u>31,063</u>	<u>3,740</u>

18 საშემოსავლო გადასახადი/ (კრედიტი)

ათასი ლარი	2011 წლის 31 დეკემბერი	2010 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე გადასახადი	4,077	2,570
გადავადებული საშემოსავლო გადასახადის მიმდინარე ნაწილი (იხ. შენიშვნა 6).	32	
გადავადებული საშემოსავლო გადასახადის მიმდინარე ნაწილი (იხ. შენიშვნა 6).	1,073	(5,831)
	<u>5,182</u>	<u>(3,261)</u>

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ხელახლა გამოითვლება შემდეგნაირად :

ათასი ლარი	2011 წლის 31 დეკემბერი	ეფექტური განაკვეთი (%)	2010 წლის 31 დეკემბერი	ეფექტური განაკვეთი (%)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე (IFRS)ფასს-ის მიხედვით	<u>24,605</u>		<u>526</u>	
გადასახადი დათვლილი 15%-იანი საპროცენტო განაკვეთით (2010: 15%)	3,691	15	79	15
(არა დაბეგვრადი)/არა-გამოქეითვადი ერთეულები	5,095	21	(43,168)	(8,207)
ადრე არ აღიარებული საგადასახადო ზარალის ეფექტი	(3,604)	(15)	-	-
საგადასახადო ზარალის შეფასება	-	-	39,828	7,572
მიმდინარე საშემოსავლო გადასახადი (კრედიტი)	<u>5,182</u>	<u>21</u>	<u>(3,261)</u>	<u>(620)</u>

19 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასება

შეფასებები და მსჯელობები არის მუდმივად შეფასებადი და დაფუძნებული ისტორიულ გამოცდილებაზე, ამასთან გათვალისწინებულია სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენები და სარწმუნოა რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

19.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს მომავალთან დაკავშირებით. საბურთალოს შეფასების შედეგები, იშვიათად არის შესაბამისობაში რეალურ შედეგებთან. ის შეფასებები და მსჯელობები, რომლებიც არის მნიშვნელოვანი რისკის შემცველი და იწვევენ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებებს მომავალ ფინანსურ წელს, განხილულია ქვემოთ.

კაპიტალური აქტივების ანაზღაურებადი თანხა

ჯგუფის ძირითად საშუალებებს შეადგენს ენერჯის გადამცემი ქსელი, რომელიც მდებარეობს კახეთში, საბალანსო ღირებულებით 3,850 ათასი ლარი (2010 წლის 31 დეკემბერი 4,014 ათასი ლარი). ამჟამად ეს აქტივები ვერ

გამოიმუშავეს საკმარის შემოსავლებს, რათა გადაფაროს ქსელის ოპერატიული დანახარჯები. ჯგუფის მენეჯმენტს განზრახული აქვს, რომ გაყიდოს აქტივი და დაკავებულია მყიდველის ძებნით. 2009 წელს ამ აქტივის სამართლიანი ღირებულება შეფასებული იქნა 8,500 ათას ლარად დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ. ჯგუფის მენეჯმენტს სჯერა, რომ აქტივის სამართლიანი ღირებულება 2011 წლის 31 დეკემბრისთვის არ შეცვლილა მნიშვნელოვნად და აქტივის საბალანსო ღირებულება არის მთლიანად ანაზღაურებადი.

იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფი ვერ ნახავდა პოტენციურ მყიდველს იმ ფასში, რომელიც ჯგუფისთვის იყო მისაღები, აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება შესაძლოა ყოფილიყო მნიშვნელოვნად ნაკლები, რომელიც აისახებოდა გაუფასურების ზარალში.

19.2 მნიშვნელოვანი შიფსანსები დაკავშირებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკასთან

დაკავშირებული მხარეები

როგორც განსაზღვრულია შენიშვნა ნომერ 1-ში სახელმწიფო არის 100% წილის მფლობელი ჯგუფში. საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად, “სტანდარტი 24 დაკავშირებული მხარეები” შესაბამისად ყველა სახელმწიფო ორგანიზაცია და სააგენტო ითვლება, როგორც ჯგუფის დაკავშირებული მხარე და მათთან დაკავშირებული ყველა გარიგება თუ ტრანზაქცია ნაჩვენები უნდა იყოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

სასამართლოს იმ გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად, რომლის მიხედვითაც ჯგუფს მიეცა რეაბილიტაციის 15 წლიანი პერიოდი, დაინიშნა რეაბილიტაციის მენეჯერი, რათა უზრუნველყოს ჯგუფის მართვა სრული სარეაბილიტაციო პერიოდის განმავლობაში. რეაბილიტაციის მენეჯერს მიენიჭა ყველა უფლება და პასუხისმგებლობა, გარდა ჯგუფის ლიკვიდაციისა.

ჯგუფის მიმდინარე სტატუსის გათვალისწინებით, მენეჯმენტი ასკვნის, რომ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ორგანიზაცია და სახელმწიფო სააგენტო არ არის დაკავშირებული მხარე, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 24-ში, შესაბამისად არ იქნა გაკეთებული არცერთი ტრანსაქციის განმარტება, რომელიც დაკავშირებული იყო სახელმწიფო მფლობელობაში მყოფ ორგანიზაციებთან და სააგენტოებთან.

20 ფინანსური ინსტრუმენტები

20.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და ბაზისი, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივის, ვალდებულებისა და კაპიტალის ინსტრუმენტის კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3-ში.

20.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსურ ანგარიშგებაში წამოვადგენილია შემდეგი კატეგორიის აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით:

ფინანსური აქტივები

ათასი ლარი	2011 წლის 31 დეკემბერი	2010 წლის 31 დეკემბერი
სესხები და მოთხოვნები:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,163	6,140
ფული და ფულის ექვივალენტები	89,764	39,833
	<u>95,927</u>	<u>45,973</u>

ფინანსური ვალდებულებები

ათასი ლარი	2011 წლის 31 დეკემბერი	2010 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით:		
სესხები	331,002	254,944
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	126,333	15,695
რესტრუქტურირებული ვალდებულებები	59,207	55,724
	<u>516,542</u>	<u>326,363</u>

21 ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფი არ არის დაცული სხვადასხვა რისკებისგან დაკავშირებული ფინანსურ ინსტრუმენტებთან. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

21.1 ფინანსური რისკის შაქტორები

ა) საბაზრო რისკი

ჯგუფი არ არის დაცული საბაზრო რისკებისგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებისას და განსაკუთრებით ჯგუფის მოქმედებაზე უმთავრეს გავლენას ახდენს უცხოური ვალუტის კურსის ცვლილება და საპროცენტო განაკვეთი, რომელიც საოპერაციო და ფინანსური საქმიანობის შედეგია.

სავალუტო რისკი

ჯგუფის მიერ განხორციელებული გარკვეული ტრანზაქციები წარმოდგენილია უცხოურ ვალუტაში. შესაბამისად წარმოიშვება საკურსო სხვაობები.

ჯგუფის ოპერაციების დიდი ნაწილი ხორციელდება ქართულ ლარში. სირთულე წარმოიშობა სავალუტო კურსისგან, რომელიც ჩნდება ჯგუფის შენაძენებიდან, რომლებიც ძირითადად ხორციელდება ევროში. ჯგუფს, აგრეთვე აქვს სესხები ამერიკულ დოლარსა და ევროში, რომლითაც იყო დაფინანსებული მიმდინარე პროექტის განსახორციელებლად.

ჯგუფის ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებაზე უცხური ვალუტის გავლენა ნაჩვენებია ქვემოთ. წარდგენილი თანხები წარდგენილი და ნაჩვენებია ლარში კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ:

ერთეული	ამერიკული დოლარი	ევრო	არათავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა
2011 წლის 31 დეკემბერი			
<i>ფინანსური აქტივები</i>			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	809	155	-
ფული და ფულის ექვივალენტები	74	26,912	124
	883	27,067	124
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>			
სესხები	44,339	286,663	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,936	120,243	896
რესტრუქტურირებული ვალდებულებები	2,630	1,188	-
	49,905	408,094	896
წმინდა პოზიცია	49,022	(381,027)	(772)

ერთეული	ამერიკული დოლარი	ევრო	არათავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა
2010 წლის 31 დეკემბერი			
<i>ფინანსური აქტივები</i>			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	641	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები	27	11,589	61
	668	11,589	61
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>			
სესხები	53,582	201,412	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	27	4,072	-
რესტრუქტურირებული ვალდებულებები	1,281	5,697	-
	54,890	211,181	-
წმინდა პოზიცია	(54,222)	(199,592)	61

ჯგუფს ძირითადად აქვს ამერიკული დოლარი და ევრო. შემდეგი ცხრილი ასახავს ჯგუფის მგრძობელობას ქართული ლარის 10%-იანი(2010:10%) ზრდის ან შემცირების პირობებში დოლარის ან ევროს მიმართ. 10% (2010: 10%) არის მენეჯმენტის შეფასება ვალუტის სავარაუდო ცვლილებასთან დაკავშირებით. მგრძობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფინანსურ აქტივს წარმოდგენილს უცხოურ ვალუტაში და აკორექტირებს 10%-იანი განაკვეთით პერიოდის ბოლოს 2010: 10%). დადებითი რიცხვი გვიჩვენებს ზრდას მოგებაში ან ზარალში, რაც გულისხმობს ქართული ლარის გამყარებას სხვა ვალუტასთან მიმართებით.

ათასი ლარი	ამერიკული დოლარის			
	გაგლეჩა		ევროს გაგლეჩა	
	2011	2010	2011	2010
მოგება ან ზარალი	4,902	5,422	38,103	19,959

ა. საპროცენტო რისკი

ბ) იქიდან გამომდინარე, რომ ჯგუფს აქვს უცხოურ ვალუტაში ნასესხები თანხები, როგორც ფიქსირებული, ასევე მცურავი განაკვეთით, იგი აწყდება საპროცენტო რისკებს. ჯგუფის მიერ რისკის მართვა ხდება ფიქსირებული და მცურავი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხებს შორის შესაბამისი ბალანსის დაცვით.

შემდეგი ცხრილი აერთიანებს კონტრაქტით განსაზღვრულ და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთებს:

2011

	საშუალო საპროცენტო განაკვეთი	
	კონტრაქტი	ეფექტური
ვალდებულებები		
<i>სესხები</i>		
ამერიკული დოლარი	8.32%	8.64%
ევრო	3.05%	3.11%

2010

	საშუალო საპროცენტო განაკვეთი	
	კონტრაქტი	ეფექტური
ვალდებულებები		
<i>სესხები</i>		
ამერიკული დოლარი	7.68%	7.68%
ევრო	3.14%	3.23%

მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საპროცენტო განაკვეთის 1%-იან (2010: 3 %) ცვლილებაზე. მენეჯმენტის შეფასებით 1% წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთის შესაძლო ცვლილებას.

თუ საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა/შემცირდა 1%-თ და ყველა სხვა ცვლადი დარჩა უცვლელი, მაშინ ჯგუფის:

- მოგება 2011 წლის 31 დეკემბრისთვის შემცირდება/გაიზრდება 1,687 ათასი ლარით (2010: შემცირდება/გაიზრდება 3,674 ათასი ლარით);
- ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გაიზრდება/შემცირდება 2,081 ათასი ლარით (2010: შემცირდება/გაიზრდება 862 ათასი ლარით)

ჯგუფის მგრძნობელობა საპროცენტო განაკვეთის მიმართ ძირითადად გამოწვეულია 2011 წლის განმავლობაში სესხის ზრდით ამერიკულ დოლარსა და ევროში.

ბ. საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ჯგუფი მიიღებს ფინანსურ ზარალს. ჯგუფის პოლიტიკის მიხედვით, ურთიერთობას კრედიტუნარიან კონტრაქტორებთან, რის შედეგადაც ამცირებს კონტრაქტორის დეფოლტის რისკს, რათა არ გამოიწვიოს ფინანსური ზარალი.

სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს მაღალი ძაბვის ელექტრო ენერჯის საბოლოო მომხმარებლებს და დისტრიბუტორებს. მიმდინარე საკრედიტო შეფასება ხდება სავაჭრო მოთხოვნების მდგომარეობით.

ანგარიშგების დღისთვის არ არის აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკები. ჯგუფმა 2011 წლის 31 დეკემბრისთვის დაარეზერვა 75,378 ათასი ლარის (2010 წლის 31 დეკემბერი: 73,469 ათასი ლარი) ვადაგადაცილებული მოთხოვნები. გარდა მოთხოვნებზე წარმოქმნილი რისკისა, საკრედიტო რისკზე დიდი გავლენას ახდენს ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში.

ც. ლიკვიდურობის რისკი

ჯგუფი ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივარტული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფუალდი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე როდესაც შეიძლება ჯგუფის მიმართ მოთხოვნილი იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2011	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ცვლადი საპროცენტო განაკვეთით	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით	მილიანი
საშუალო შეწონილი ევექტური განაკვეთი (%)		3.26	4.44	
6 თვეზე ნაკლები	253	525	27	805
6 თვიდან 1 წლამდე	134,509	4,648	4,336	143,493
1-5 წლამდე	60,579	118,904	7,111	186,594
5 წელზე მეტი	28,787	132,419	63,032	224,238
	<u>224,128</u>	<u>256,496</u>	<u>74,506</u>	<u>555,130</u>

2010	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ცვლადი საპროცენტო განაკვეთით	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით	მთლიანი
საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი (%)		4.18	2.11	
6 თვეზე ნაკლები	2,945	-	-	2,945
6 თვიდან 1 წლამდე	11,817	3,947	4,688	20,452
1-5 წლამდე	16,279	-	-	16,279
5 წელზე მეტი	102,654	50,188	204,806	357,648
	<u>133,695</u>	<u>54,135</u>	<u>209,494</u>	<u>397,324</u>

ჯგუფი იმედოვნებს, რომ მისი ფინანსური აქტივების გადახდის თარიღი მოხვდება 6 თვიან პერიოდში.

ლიკვიდურობის რისკის მენეჯმენტისთვის, ჯგუფი იყენებს საკუთარ ფინანსურ აქტივებს, მათ შორის ფულად რესურსებსა და სავაჭრო მოთხოვნებს. ჯგუფის ფულადი რესურსები და სავაჭრო მოთხოვნები არის ნაკლები, ვიდრე მისი მიმდინარე საჭიროება ფულად გასაფლვებზე. ჯგუფი განიზრახავს ლიკვიდურობის რისკის მენეჯმენტს, მომავალი რამდენიმე თვის შემოსავლით, აგრეთვე აუთვისებელი სასესხო რესურსებით.

21.2 კაპიტალური რისკის მართვა

ჯგუფი მართავს თავის კაპიტალს ისე, რომ შეძლოს ფუნქციონირება მინიმუმ შემდგომი ერთი წლის განმავლობაში, და ამავდროულად ერთგული რჩება რეაბილიტაციის გეგმაში ასახული მიზნების.

ჯგუფის კაპიტალის სტრუქტურა შედგება სააქციო კაპიტალისგან, გაუნაწილებელი მოგებისგან და ვალისგან, რომელიც შედგება სესხებისგან და ასახულია შენიშვნა 10-ში.

ჯგუფის მართველობა მუდმივად აკვირდება საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას, რომ შეინარჩუნოს ოპტიმალური ბალანსი ვალსა და კაპიტალს შორის, რომლის ანალიზიც ხდება ვალის კაპიტალთან ფარდობის მაჩვენებლის საშუალებით (წმინდა სესხი გაყოფილი მთლიან კაპიტალზე), როგორც ეს მოცემულია ქვემოთ.

ათასი ლარი	2011 წლის 31 დეკემბერი	2010 წლის 31 დეკემბერი
სულ სესხები	331,002	254,994
მინუს: ფული და ფულის ექვივალენტები	(89,764)	(39,833)
წმინდა სესხი	241,238	215,161
მთლიანი სააქციო კაპიტალი	293,080	209,236
მთლიანი კაპიტალი	534,318	424,397
წმინდა სესხის კაპიტალთან ფარდობის მაჩვენებელი	0.45	0.51

21.3 სამართლიანი ღირებულება

მენეჯმენტს სწამს, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილი ამორტიზირებული ღირებულებით ფინანსურ ანგარიშგებაში, წარმოადგენს მის მიახლოებით სამართლიან ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება, შესაბამისი ფულადი ნაკადების საბაზრო პროცენტით დისკონტირებით. შედეგად მენეჯმენტს სჯერა რომ ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულება ახლოსაა მის საბალანსო ღირებულებასთან.

22 ვალდებულებები

22.1 კაპიტალური ვალდებულებები

ჯგუფს აქვს დადებული კონტრაქტი ძირითადი საშუალების შესყიდვაზე, ღირებულებით 2,412 ათასი ლარი (2010: 7,234 ათასი ლარი).

22.2 საოპერაციო იჯარის ვალდებულება

ჯგუფი როგორც გამქირავებელი

საოპერაციო იჯარა დაკავშირებულია ჯგუფის მიერ ძირითადი საშუალების ფლობასთან. დამქირავებელს არ აქვს არანაირი ვალდებულება, რომ მოახდინოს აქტივების შესყიდვა დაქირავებული აქტივის საკონტრაქტო ვადის გასვლის შემდეგ.

გაუქმების უფლების არ მქონე მისაღები საოპერაციო იჯარა წარმოდგენილია ქვემოთ:

ათასი ლარი	2011 წლის 31 დეკემბერი	2010 წლის 31 დეკემბერი
არა უგვიანეს 1 წლისა	41	47
	41	47

23 შმსაქლო, მოსალოდნელი შემთხვევები, რომლებიც რაიმე პირობის მოხდენის ალბათობაზეა დამოკიდებული

23.1 ბიზნეს ბარემო

საქართველო პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების პროცესშია. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე. ეკონომიკური განვითარების ძირითად დაბრკოლებას წარმოადგენს, ეკონომიკური და ინსტიტუციონალური განვითარების დაბალი დონე, ცენტრალიზებულ ეკონომიკურ ბაზასთან და რეგიონალურ არასტაბილურობასთან ერთად.

უცხოური კაპიტალის მცირე მოცულობის გამო ქართულ ბიზნესში და იზოლაცია გარკვეული სექტორების დანარჩენ მსოფლიოსთან, მიმდინარე

საფინანსო კრიზისი, რომელიც მსოფლიოს მძიმედ შეეხო, საანგარიშგებო პერიოდისთვის არ არის განსაკუთრებით მძიმე საქართველოსთვის.

თუმცა, უფრო მძაფრი საბაზრო სტრესის პირობებში, როგორც საქართველო, ასევე ჯგუფი შეიძლება მოხვდეს კრიზისის გავლენის ქვეშ. შესაძლო ეფექტები შეიძლება იყოს ჯგუფის უუნარობა გადაუხადოს კრედიტორებს, გაუუფასურდეს რეპუტაცია, პრობლემები შეექმნას ფონდების მოძიებისას და ა.შ. ყველა ამ პრობლემამ შეიძლება მნიშვნელოვანი სირთულეები შეუქმნას ლიკვიდურობის თვალსაზრისით, და შეიძლება დადგეს მისი სიცოცხლისუნარიანობის საკითხი. თუმცა, მიუხედავად იმისა რომ მსგავსი მაჩვენებლები მრავლადაა, მენეჯმენტს არ შეუძლია გააკეთოს სანდო შეფასება, თუ რომელ აქტივებსა და ვალდებულებებზე ექნება გავლენა.

შესაბამისად, ჯგუფის ფინანსური ანგარიშგებები არ შეიცავს კორექტირებებს, რომელიც შეიძლება ჩათვლილიყო საჭიროდ მიმდინარე მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგად.

23.2 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვეო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. ჯგუფი სრულად ვერ აზღვევს დანადგარებს, ბიზნესის გამართულ მუშაობას, მესამე მხარის მიმართ ვალდებულებებს და ბუნებრივი მოვლენების შედეგად მიღებულ ზიანს. სანამ ჯგუფი ადეკვატურად დაეზღვევა, არის რისკი რომ, ზარალი ან აქტივების დაზიანება მატერიალურ ზარალს მიაყენებს ჯგუფის ფინანსურ და საოპერაციო მდგომარეობას.

23.3 აქტივები აფხაზეთში

როგორც აღწერილია შენიშვნა 4-ში ძირითადი საშუალებები როგორცაა: ნაგებობები, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა აღჭურვილობა საბალანსო ღირებულებით 9,518 ათასი ლარი წარმოდგენილია აფხაზეთის ტერიტორიაზე. 1991 წლიდან, მას შემდეგ რაც წარმოიშვა ქართულ-აფხაზეთი კონფლიქტი, ეს ტერიტორია ითვლება სადავო რეგიონად. გამომდინარე აქედან, ჯგუფს აღნიშნულ ტერიტორიაზე წარმოდგენილ აქტივებზე აქვს შეზღუდული კონტროლი.

თუმცა კომპანია ახორციელებს აფხაზეთის ტერიტორიაზე მყოფი აქტივების ექსპლუატაციას და გამოიმუშავებს შემოსავალს, მიუხედავად ამისა, არსებობს საშიშროება კონფლიქტის მიმდინარე სტატუსმა საფრთხეში ჩააგდოს ზემოთ აღნიშნული აქტივები.

23.4 პროცენტი საბანკო ანბარიშებიდან

2011 წელს ჯგუფმა მიიღო საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანგარიშებიდან, 1,287 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც იყო დარიცხული მიღებულ სახსრებზე კრედიტორებისგან. მთელი საპროცენტო შემოსავალი იყო კაპიტალიზირებული ძირითადი საშუალებების ღირებულებაზე. შეთანხმებისამებრ ჯგუფი არ არის ვალდებული დააბრუნოს მიღებული პროცენტი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, არსებობს რისკი, რომ ეს თანხა შეიძლება უკან მოთხოვდეს იქნეს უკანასკნელის მიერ. ჯგუფის მართველობას მიაჩნია, რომ რისკი ამ თანხასთან დაკავშირებული აღარ არსებობს, გაუუფასურების რეზერვის შექმნა არ მომხდარა ამ ანგარიშისთვის.

24 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეთან

ჯგუფის დაკავშირებულ მხარებს წარმოადგენს მისი მფლობელი, ძირითადი მენეჯმენტი და სხვა დანარჩენი, რომელიც აღწერილია ქვემოთ

24.1 საკონტროლო ურთიერთობები

ჯგუფის მთავარ მკონტროლებელ მხარეს წარმოადგეს საქართველოს სახელმწიფო და ახორციელებს კონტროლს საწარმოთა მართვის სააგენტოს მეშვეობით.

როგორც აღწერილია შენიშვნა 1-ში, იმისათვის რომ შესაბამისობაში იყოს “საქართველოს კანონთან გაკოტრების შესახებ”, დანიშნულია რეაბილიტაციის მენეჯერი, რათა უზრუნველყოს ჯგუფის მართვა. რეაბილიტაციის მენეჯერს გადაეცა აქციონერთა ყველა უფლებამოსილება და ვალდებულება (გარდა ჯგუფის ლიკვიდაციისა).

24.2 მენეჯმენტთან დაკავშირებული ტრანზაქციები

ძირითადმა მენეჯმენტმა წლის განმავლობაში გამოიმუშავა შემდეგი სარგებელი, რომელიც მოიცავს ხელფასს და თანამშრომელთა დამატებით სარგებელს.

ათასი ლარი	2011 წლის 31 დეკემბერი	2010 წლის 31 დეკემბერი
ხელფასები და ბონუსები	1,292	1,082
	<u>1,292</u>	<u>1,082</u>

25 წინა წლის მოგება ზარალის ანგარიშგების შესწორება

2011 წლისთვის ჯგუფმა გადაწყვიტა ფინანსური ანგარიშგების შესწორება 2010 წლის 31 დეკემბრისა და 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რათა შესაბამისობაში მოეყვანა ბასს 8-თან (IAS 8), რის შედეგადაც აღმოჩენილი იქნა წინა წლის შეცდომები. მნიშვნელოვანი შეცდომები იყო დაკავშირებული არასწორ გადანაწილებასთან და გადაფასების ზრდასთან, მოსამზადებელი ხარჯების კაპიტალიზებასთან დაუსრულებელ ნაგებობებზე, მნიშვნელოვან ცდომილებას იწვევს წინა 2009 წლის გადაფასების რეზერვის და მიმდინარე წლის მოგება ზარალის ზრდის არასწორი გადანაწილება წინა პერიოდში აღიარებული გაუფასურების შებრუნების ხარჯზე. შედეგად გააკეთდა შემდეგი კორექტირება.

შესწორებები გაკეთებული იქნა შემდეგნაირად:

2010 წლის 31 დეკემბერი	ბალანსი შესწორებამდე	კორექტირება	ბალანსი შესწორების შემდეგ
გადაფასების რეზერვი	89,923	10,514	100,437
დაგროვილი ზარალი გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	(338,318)	(10,260)	(348,578)
	3,654	254	3,908

2009 წლის 31 დეკემბერი	ბალანსი შესწორებამდე	კორექტირება	ბალანსი შესწორების შემდეგ
გადაფასების რეზერვი	100,261	11,460	111,721
დაგროვილი ზარალი	(352,449)	(11,206)	(363,655)
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	(2,177)	254	(1,923)



Grant Thornton

An instinct for growth™

www.grantthornton.am
Private and Confidential